

გ ა რ ი შ ა ზ ი ს ა

26 აპრილი ათავებს რუსეთის ცხოვრებაში იმ ისტორიულ მოქმედებას, სადაც რუსეთმა თავის განვითარების დადგომის დღიდან, აქამდე გამოსცა, იგემოვნა, სულით ტანჯულ იქმნა და ბოლოს იწყო და გამოვიდა ახალ მოქმედების ასპარეზზე. თუმცა დასავლეთის ევროპამ დაასწრო აღმოსავლეთის ევროპას თავისუფლებაში და თავი დაიხსნა ერთ ბძანებულთა ხელისაგან, მაგრამ აღმოსავლეთის ევროპა იკვებებოდა დასავლეთით, იზრდებოდა რწმენით და ემზადებოდა სულიერის ძალით იმ უდიდესი მომენტის შექმნას, რომელის შექმნამ მოამზადა დიდი ქირანხულოებით და მთა-ბარ მტკრევით.

ხალხის გრძობა შეერთდა, გაიხსენა წარსული დააკვირდა აწყობს და გაითვალისწინა მომავალი; ამ სამმა ხანგრძლივმა და თავგანწირულმა სულის კვთამ წარმოშობა ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით სიმწვავეთ სწარმოებდა ამ ორი უკანასკნელის წლის განმავლობაში. უკვე გააგებინა ქვეყანას, რომ რუსეთსაც სურს შევიდეს ახალ-ცხოვრებაში, აღასურლა დიდიხნის საყოველთაო სახალხო მოთხოვნა და 27 აპრილის დღე, პირველად სწინდება კანონიერად და რეალურად რუსეთის შინაურ ცხოვრებას პოლიტიკის ასპარეზზე. მხოლოდ ვინაიდან წარსული მომავლის ხილია ამისათვის გუშინდელ რუსეთის ცხოვრებამ გაითვალისწინა თავის თანა მოძვე დასავლეთის ევროპის ცხოვრება და ისე მოაწესრიგოს თავისი დღევანდელი და მომავალი ცხოვრება, თვარა ზეპირათ კარგა დაისწავლის: „ძმობას, ერთობას და თავისუფლებას“, მხოლოდ კი საქმეში, პრაქტიკაში არ უჩვენოს მთავრობას ძმობის მაგიერ ფეოდალთა; ერთობისა შენ ჩემობა, ძალმომრეობა. თავისუფლების მაგიერ მძლავრობა, დაჩაგრვა და შელახვა ყოველი კაცობრივი თვისი საკუთრებისა, რომელიც არის თავისუფლება.

ვინაიდან 27 აპრილი ისტორიული დღეა რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში, რუსეთის ხალხი ამ დღიდან იწყებს ახალ ცხოვრებას, გადის ახალ საბრძოლველ ომის ველზე და უმტკიცებს განათლებულ ერებს რომ მისი საუკუნეზე მეტი გაშმაგებული და გულ და გული ბძოლა დაგვირგვინდა სამუდამოდ. განწესდა სახელმწიფო-სათათბირო.

ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამ დღიდან სიხარულით გამოგვეცხადებინა საზოგადოებისათვის რომ 27 აპრილს გაიხსნა, განწესდა საკანონმდებლო დაწესებულება. მაგრამ ჩვენი სურვილი სურვილით დარჩა და ახალ შეკრებილ დეპუტათ

კრებას, ესე იგი ახლანდებულათ რომ ესთქვათ სახელმწიფო სათათბიროს აქვს ხმა რჩევისა და არა გარდაწყვეტილებისა და კანონმდებლობისა.

რადგან საკანონმდებლო დაწესებულებას აქვს შეძლება მინისტრები ამოიჩიოს, კანონიებიც პარლამენტმა გამოსცემს, ხელმწიფე მოხლოდი გარანტია სისრულეში მოსაყვანად პარლამენტის გარდაწყვეტილებისა. მაგრამ ჩვენში ეს იქნება? ამას სხვა ორმოცდა ათი წლის მუშაობა უნდა. სწავლით და განვითარებით მოემზადეთ მომავალისათვის.

პ. დ. მ. პაწაწე.

სახელმწიფო სათათბიროს გახსნა, სხვა-სიტყვა.

27 აპრილი, საღამოს 7¹/₂ საათი. საზამთრო სასახლეში ხელმწიფემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. ამის შემდეგ დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში წავიდნენ. კრება გახსნა სტატუს-სეკრეტარმა ფრიშმა, რომელმაც საღამო უძღვნა დეპუტატებს და წინადადება მისცა, თავმჯდომარე აერჩიათ. სათათბიროს თავმჯდომარედ 426 ხმის უმეტესობით 76 ხმის წინააღმდეგ აირჩიეს მოსკოვის დეპუტატი მურომცევი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ სცენამ, როცა თავმჯდომარის ადგილი ბიუროკრატმა ხალხის წარმომადგენელს დაუთმო. პირველ სიტყვა წარმოსთქვა პეტრუნკევიჩმა ტრიბუნიდან იმისმა მხნე და აღფრთოვანებულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პეტრუნკევიჩმა მთელი რუსეთის სახელით მოითხოვა საყოველთაო ამნისტია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და სეზიონის პოლიკი ენერგიულად მოქმედებენ, სათათბიროს შენობის წინ აუარებელი ხალხი ირევია რომელიც დეპუტატებს საღამოს უძღვნის და საყოველთაო ამნისტიას თხოულობს.

მეფემ შემდეგი სეფე-სიტყვა წარმოსთქვა სათათბიროს პირველ კრებაზე:

უზენაესის განგებით ჩემდამი მონიკებულ მზრუნველობამ სამშობლოს კეთილდღეობაზე მიძღულა მე მომეწვია ხალხის წარმომადგენელნი სახელმწიფოს კანონმდებლობაში მონაწილეობის შესაძლებად. რუსეთის წმინდა მომავალით აღფრთოვანებული მივესალმები თქვენის სახით იმ საუკეთესო ადამიანებს, რომელთა არჩევა ეუბრძანე მე ჩემს საყვარელს ქვეშევრდომთ. ძნელი და რთული შრომა მოგელით თქვენ. მე მრწამს, რომ თქვენი სურვილი სამშობლოსადმი შეგაერთებს თქვენ ერთად და ერთის სულითა და მისწრაფებით განი

ქველებით. მე კი შეურყვევლის დადგენილებით დაიკავ ჩემ მიერ ბოძებულს (უფლებებს?) და ტყვედა ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ არ დაიშურებთ მთლეს თქვენს ძალასა და ღონეს და თავგანწირვით ემსახურებით სამშობლოს, ჩემთვის უფრო და სულთ საყვარელ გლეხობის საკიროვ-ათა გამოსარკვევად, ხალხის გასანათლებლათა და კეთილ დღეობის განსაჯიარებლად, გეხსოვ-ათ რა, რომ სახელმწიფოს სულიერ სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის საკიროა არა მარტო თა-ისუფლება, არამედ წესიერება მასთან ერთად, წე-იერება დამყარებული უფლებაზე ღმერთს ესთხოვ, რომ ასრულებულიყოს ჩემი მხურვალე სურვილები და მენახოს ხალხი ჩემი გაბედნიერებული და სა-ხელმწიფო ძლევამოსილი, მოწესრიგებული და გა-ათლებული გადასულიყოს ჩემის მემკვიდრის ხე-ღში. ღმერთმა აკურთხოს მომავალი შრომა ჩემი სახელმწიფო საბჭოსთან და სახელმწიფო სათათ-იროსთან ერთად. დაე დღევანდელი დღე ქვა-უთხედათ დაედოს რუსეთის ზნეობრივ აღორ-ინებას, დაე იყოს იგი დღედ სამშობლოს საუ-ეთესო ძალების განახლებისად. შეუდექით მო-რძალებით იმ საქმეს, რომლის გასაკეთებ-ლად შე თქვენ მოგიწოდეთ და ღირსეულად გა-მართლეთ ნდობა მეფესა და ხალხისა. შეგვეწიოს და გვეფარავდეს ღმერთი.

საზამთრო სასახლიდან რომ სახელმწიფო სა-ათობიროში მიდიოდნენ დეპუტატებს აღეღებულნი ხალხი დიდის ამბით უხედებოდა. მეოთხე საათზე პალატის ქუჩაზე უამრავი ხალხი იყო საბჭოსაკენ მიმავალი და ყოვლის მხრიდან მისალმების ხმები სმოდა. ყველგან ზგვრია პოლიციელები, დრაგუ-ები ხალხს ჰფანტავენ. ხალხი მისდევს დეპუტა-ტებს და იძახის — „მოითხოვეთ სრული ამნისტია“. როგან ხალხი ისე იყო შეჯგუფული, რომ მარტო დეპუტატების ეტლებს შეეძლოთ გავლა. ყოველის მხრიდან ისმოდა — „გაუშარჯოს სათათბიროს! ამნი-სტია! — დეპუტატები ქუდ მოხდილი აძლევდნენ სა-თათბიროს და წელ-წელა შედიოდნენ სათათბიროს კა-ბინეტში. სათათბიროში შემსვლელთ დიდ კანტროლს შევებთან. ხუთის საათის დასაწყისში გადაიხადეს პრეზიდი და დეპუტატებმაც თავიანთი ადგილი დაიკავეს. დიპლომატეტების, პუბლიკის და პრესის წევრები სჯესვა. მინისტრების ტრიბუნაზე გამოჩნდ-ნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინი, მინისტრები და სახელმწიფო საბჭოს წევრები, 35 დე სრული ხუთი საათი იყო, რომ

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ზარი დარეკა და უმაღლეს ბრძანების წაკი-თების შემდეგ სიტყვა შემდეგი: „ბედნიერი ვარ ზოგესალმით თქვენ, ხალხის არჩეულებს უმაღ-ლეს ნების ასასრულებლად. დიდებული საქმე გაქვეთ გასაკეთებელი. თანახმად ძირითად კანონე-ზისა სახელმწიფო სათათბიროზე, თქვენ ხელთ არის ვრცელი საშუალება სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მუშაობისათვის სიტყვის სრულის თავისუფლებით წინაშე მთელის ხალხისა, რომელსაც პრესსა შე-ტყობინებს ყველაფერს“. ფრიშმა სხდომა დაწყე-ბულად გამოაცხადა და წინადადება მისცა დეპუ-ტატებს, კანონისამებრ ხელი მოაწერონ ფიცის ქა-ლდს და შემდეგ აირჩიონ თავმჯდომარე. ხელის მოწერას ნახევარი საათი მოუნდა. კანტიდატების დასახელების დროს 426 ხმა წინააღმდეგ ათისა მუეიდა ქ. მოსკოვის დეპუტატს პროფესორ მუ-რომცივის. რაკი სხვა კანდიდატებმა უარი სიტყვეს, მურომცივი ერთ ხმად იქნა არჩეული, რასაც მთე-ლი დარბაზი დიდის ტაშის ცემით მიეგება. არჩეუ-ლმა თავმჯდომარის ადგილი დაიკირა და სიტყვის ნება პირველად პეტრუნკევიჩს მისცა: „სინიღისისა და პატიოსნების მოვალეობა გვიბრძანებს, რომ ჩვენი პირველი თავისუფალი სიტყვა ეხებოდეს იმათ ვინც თავი შესწირა სამშობლოს განთავისუფ-ლებას (მხურვალე ტაშის ცემა). საპატიმროები სა-ესვა. ათასი ხელია ჩვენკენ გამოშვებული. პირვე-ლი ჩვენი სურვილი ის არის, რომ კმარა ამდენი სისხლი; ჩვენ ვთხოვლობთ მშვიდობიანობასა და თანხმობას. ამნისტიის საქმეს ჩვენ განვიხილავთ, როცა სეფე სიტყვის პასუხის შედგენას შევეუდგე-ბით. ეხლა მხოლოდ ესთქვათ რომ თავისუფალი რუსეთი ითხოვს ყველა იმათ განთავისუფლებას, ვინც სამშობლოს განთავისუფლებისათვის იტან-ჯება, (ყველა აღტაცებული უკრავს ტაშს).“ პე-ვი დეპუტატი ფეხზე წამოდგა. შემდეგ ილაპარაკა თავმჯდომარემ: „თავს ვიხრი სათათბიროს წინაშე. სიტყვები არ მყოფნის მაღლობა გითხრათ ამ პა-ტივისცემისათვის, მაგრამ ეხლა დრო არ არის პი-რად გრძობის გამოსათქმელად. თავმჯდომარის არწევა პირველი ნაბიჯია სათათბიროს სახელმწიფო დაწესებულებად გადაქცევისათვის. ხალხის ნების გამოსათქმელად არსდება შეუწყვეტელად მომქმედი დაწესებულება. დიდებული საქმე თხოვლობს დიდ შრომას. ხანგრძლივი მუშაობა მოგველის ჩვენ ამომრჩეველ ხალხის საკეთილდღეოდ საკონსტი-ტუციო მონარქის შესაფერ პატივისცემისა (ტაშის

კვრა) და სახელმწიფო-სათათბიროს იმ უფლებათა სრულ განხორციელების ნიადაგზე, რომელნიც ხალხის წარმომადგენლობის ბუნებისაგან გამომდინარეობს (საყოველთაო მხურვალე ტაშის კვრა). კანონით ეხლა უნდა შევწვდეთ სხდომა, რომ ხელმწიფე იმპერატორს თავმჯდომარის არჩევის ამბავი მოვახსენოთ. ამის-კი დრო უნდა და ამიტომ შემდეგი სხდომა შაბათს იქნება. შემდეგ თავმჯდომარემ უბრძანა სახელმწიფო კანცელარიის მოხელეთ, რომელნიც დეპუტატების უკან იდგნენ, გასულიყვენ დაბაზიდან, რადგან ისინი სათათბიროს წევრები არ არიან; ყველანი გავიდნენ, სხდომა დაიხურა. დეპუტატებს გამოსვლისას ხალხი „ურას“-ა და „ამინსტიის“ ძახილით ეგებებოდა.

სეკე სიტყვის საპასუხო აღრესი.

სათათბიროს კრება. სეფესიტყვის საპასუხო აღრესის პროექტი, შედგენილი სათათბიროს კომისიის მიერ: „თქვენო იმპერატორებით უდიდებულესობაჲ! თქვენმა იმპერატორებით უდიდებულესობამ კეთილ ინება და განაცხადა სათათბიროს წევრების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, რომ თქვენს უდიდებულესობას გადაწყვეტილი აქვს შეურყევლად დაიცვას ის დადგენილებანი, რომელთა ძალითაც ხალხი მოწოდებულ არს, მეფესთან ერთად, განახორციელოს საკანონდებლო ძალაუფლება მეფის ამ დიდებულსა და ხალხის წარმომადგენელთა წინაშე შეურყევლად დადებულს აღთქმაში. სახელმწიფო სათათბირო მხედავს კანონმდებლობით წეს-რიგის განვითარების მტკიცე საფუძველს, იმ კანონმდებლობისას, რომელიც შეეფერება ქვეშაირ კონსტიტუციონურ პრინციპებს. სახელმწიფო სათათბირო თავის მხრივ, არ დაშვავს ძალას და ღონეს ხალხის წარმომადგენლობის საფუძვლის განსაზღვრებას და წარსაბატებლად. იგი დასამტკიცებლად წარუდგენს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას კანონს ხალხის წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება, თანხმად ხალხის მიერ ერთსულოვანად გამოთქმულ სურვილისა, საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპზე.

თქვენს უდიდებლობის მოწოდებას სამშობლოს სასარგებლოდ მუშაობისადმი გულმხურვალედ უერთებენ თავიანთ ხმას სახელმწიფო სათათბიროს წევრნი. სახელმწიფო სათათბიროს, შემდგარს ყვე-

ლა კლასისა და ერის წარმომადგენელთაგან, აერთებს ის მხურვალე მისწრაფება, რომ განახლდეს რუსეთი და დამყარდეს იქ სახელმწიფო წეს რიგი, დაფუძნებული ყველა კლასისა და ერის შორის მშვიდობიან თანაცხოვრებასა და მოქალაქობრივ უფლებების მაგარ ბურჯებზე, მაგრამ, ამასთანავე სახელ. სათათბირო მოვალედ რაცხს თავის თავს, განაცხადოს, რომ ის პირობები, რომელშიც ამჟამად რუსეთის ცხოვრებაა, შეუძლებლად ხდის ქვეშაირ და ნაყოფიერს მუშაობას, მიმართულს სამშობლოს საუკეთესო ძალთა აღორძინებისაკენ. სამშობლო აღიარებს, რომ მთელის ჩვენის სახელმწიფო ცხოვრების თავიდა-თავი წყლული მოხელეთა თვითნებობაა, იმ მოხელეთა, რომელთაც მეფე და ხალხი დაუშორებიათ ერთმანეთისაგან; იგა, აღმოდებული რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ აღორძინების ერთობრივ ცეცხლით, ხმა მალა ლაღდებს, რომ ცხოვრების განახლება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლებას საფუძველზე, მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ ხალხია თვითმოქმედი მონაწილე კანონმდებლობით ძალას და კანონების აღმასრულებელთა კანტროლში. თქვენმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და სწორედ ეს ზემოხსენებული პრინციპები აუწყა ხალხს ტახტიდან 1905 წ. 17 ოქტომბერს და ამასთან გამოსთქვა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მომავალს სწორედ ეს საფუძველი დაედება. დიდისა და ერთსულოვანის აღტაცებით მიეგება მაშინ ამ ამბავს რუსეთის ხალხი: მაგრამ ჯერ არც კი დაწყებულიყო პირველი დღე თავისუფლებისა, და რუსეთს ახალი, შავნელი და მძიმე განსაცდელი დაადგა იმ პირობა წყალობით, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ 17 ოქტომბრის თავისუფლებათა ფეხ ქვეშ კელვას, რომელთაც შეარცხენეს სამშობლო, რომელთაც, განუსჯელად, დახვრიტეს, დაელიტეს და დაასაკანეს იმდენი ხალხი; აი აღმინისტრაციის ამისთან მოქმედებამ ისეთი ღრმა კვალი დაამჩნია ხალხის სულში, რომ ქვეყნის დაწინაურებაზე ლაპარაკი არ შეიძლება მანამდე, სანამ ხალხს არ მიეცემა იგარანტია, რომ დღეის ამიერ თქვენის უდიდებულესობის სახელით მოქმედ მოხელეების ძალმობრობას არ მოელება ბოლო, სანამ მინისტრები არ იქნებიან პასუხის მგებელნი ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და სანამ ამისდამოუხედვით არ გადმოიქმნება სახელმწიფო საპასუხურის ყველა დარგში მყოფი აღმინისტრაცია.

„ხელმწიფო“ მხოლოდ მაშინ დარწმუნდებ-

ხალხი მეფის სრულს პასუხის მგებლობაში, როცა სამინისტრო ვალდებული იქნება თავის მოქმედების ანგარიში თვითონ ხალხს ჩააბაროს, მხოლოდ იმ სამინისტროს შეუძლიან მთავრობისადმი ხალხის ნდობის განქრციება, რომელიც სათათბიროს უმეტესობის ნდობით იქნება აღჭურვილი და არჩეული, მხოლოდ ამასთანა ნდობით შეიძლება სათათბიროს წყნარი და წესიერი მოქმედება. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა რუსეთი განთავისუფლდეს სხვა და სხვა განსაკუთრებულ წესების ბრკეალებიდან, როგორცაა, მაგალ., გაძლიერებული დაცვა და სამხედრო წესები, რომელთა წყალობითაც უსაზღვრო თვითნებობა ეძლევა ადმინისტრაციის აღვირწახსნილობას. იმის ვარდა, რომ ადმინისტრაცია ხალხს უნდა დაემორჩილოს, საჭიროა განხორციელება ქეშმარიტ საარჩევნო უფლებისა რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეფის და ხალხის შეერთებული მოქმედებაა წყარო კანონმდებლობითის ძალისა დამიტომ უნდა დაინგრეს ყოველივე კედელი მეფესა და ხალხს შორის. არ შეიძლება ისეთ კანონის არსებობა, რომლის გადახედვა ყოველ წუთში არ შეეძლოთ მეფესა და ხალხს.

„სახელმწიფო სათათბირო თავის სინდისის მოვალეობად სთვლის მთავრის თქვენს იმპერატორებში უდიდებულესობას ხალხის სახელით, რომ მთელი ერი მხოლოდ მაშინ შეუდგება ქეშმარიტის ძლიერებითა და აღფრთოვანებით სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრების განახლებისათვის მუშაობას, როცა სათათბიროსა და მეფის შუა არ იქნება ჩაყენებული წარჩინებულ მოხელეთაგან და მაღალ წოდებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სახელმწიფო საპრო და როცა სათათბიროს საკანონმდებლო მოღვაწეობა შეზღუდული არ იქნება არავითარ საგანგებო კანონებით.

„სახელმწიფო სათათბირო ასრულებს მოვალეობას, რომელიც ხალხმა პირდაპირ დააკისრა და ამიტომ დაუყოვნებლივ საჭიროდ სთვლის, რომ ქვეყანა უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნების ხელშეუხებლობის, სინდისის, სიტყვის, პრესის, კრების, კავშირების და გაფიცვის თავისუფლებათა კანონებით: სათათბირო დარწმუნებულია, რომ თუ ეს კანონები, რომელიც უკვე 17 ოქტომბრის მანდატში იყო აღიარებული, არ განხორციელდა საყვარებით, ვერავითარი საზოგადოებრივი რეფორმა მოიკიდებს ფეხს.

„სახელმწიფო სათათბიროს ღრმად სწამს, რომ ვერც თავისუფლება, ვერც უფლებბრივი წესიერება

ვერ დამყარდება, თუ არ დაწესდა ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე; ამიტომ სათათბირო შეიმუშავებს კანონს მოქალაქობრივ თანასწორობის დაწესებისა და ყოველგვარ შეზღუდვისა და პრივილეგიის მოსპობის შესახებ, რომელიც-კი არსებობს დღეს წოდების, ეროვნების და სარწმუნოების მიხედვით.

„სახელმწიფო სათათბირო წინამდებარე სიკვდილით დასჯისა, თუნდაც იგი სასამართლოს დადგენილი იყოს. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება არასოდეს და არავითარ პირობაში. სახელმწიფო სათათბიროს უფლება აქვს განაცხადოს, რომ მთელ რუსეთის სურვილის გამომთქმელი იქნება იმ დღეს, როცა საბოლოდ მოსპობის სიკვდილით დასჯას.

„უახლოესი საქმე სახელმწიფო სათათბიროსი არის გამორკვევა სოფელთა საჭიროებისა და შესაფერ საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღება. უდიდესი ნაწილს სახელმწიფოსი—მშრომელი გლეხობა მოუთმენელად ელის მიწის უკიდურეს საჭიროების დაკმაყოფილებას და რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბირო არ ასრულებს თავის მოვალეობას, თუ ეხლავე არ მიიღებს გადაწყვეტილ ღონისძიებას ამ არსებით საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რასაც უნდა მოხმარდეს სახაზინო, საუფლისწურო, საკაბინეტო, სამინისტრო და მემამულეთაგან ჩამორთმეული ადგილ-მამული. სახელმწიფო სათათბირო ასევე აუცილებელ საჭიროებად სთვლის ისეთ კანონების შემუშავებას, რომელიც გლეხობას სხვებთან თანასწორ უფლებას მიანიჭებს და მოაშორებს მას ძალმომრეობისა და მზრუნველობის სიმძიმეს.

„ასევე აუცილებელია ქალაქის მუშების საჭიროებათა დაკმაყოფილება. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ის იქნება, რომ მუშებს უნდა ჰქონდეთ სრული უფლება ორგანიზაციების მოწყობისა და თვით მოქმედებისა ქირის პირობების გასაუმჯობესებლად და ქონებრივ და სულიერ-კეთილდღეობის ასამაღლებლად.

„სახელმწიფო სათათბირო თავის მოვალეობად სთვლის ყოველი ღონე იღონოს ხალხის განათლების ასამაღლებლად და პირველ ყოვლისა შეიმუშაოს კანონი საყოველთაო უსასყიდლო სწავლისა.

„ამასთანავე სათათბიროს თავის მოვალეობად მიაჩნია საგანგებო ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვის და გადასახადების სამართლიან გაწერას. არა ნაკლები არსებითი საკანონმდებლო შრომა იქნება ადგილობრივ მართველობისა და თვითმართველობის ძირითადი ცვლილება

საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე.
 -დასასრულ სახელმწიფო სათათბიროს თავის დაუყოვნებლოვ ასასრულებელ საქმეებ შორის ჩარიცხული აქვს ცალკე ერების მომწიფებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. რუსეთი ისეთი სახელმწიფოა, სადაც სხვა და სხვა ტომის ხალხები სცხოვრობენ; სულიერი გაერთიანება ამ ხალხებისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებული იქნება თითოეულ მათგანის მოთხოვნა—დაცვა და განვითარება მათ ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა. სახელმწიფო სათათბირო იზრუნებს, რომ ეს სიმართლიანი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნეს და ამით დამყარდეს მშვიდობიანობა და განმტკიცდეს კავშირი ცალკე ნაწილებს შორის, კავშირი, დამყარებული ურთიერთ პატივისცემაზე.

-თქვენო უდიდებულესობამ! ყოველ ჩვენ დაწყებულებას წინ უდევს ერთი საქმე, რომელიც მათელის ხალხის სულს აღელვებს, გვაღელვებს ჩვენც, ხალხის არჩეულებს, და შეძლებას არ გვაძლევს შევედგეთ მოქმედებას სახელმწიფო სარბიელზე. პირველი სიტყვა, რომელიც გაისმა სათათბიროს დარბაზში და რომელსაც ყველა თანაგრძნობით მიეგება, „ამნისტია“ იყო. მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ელის სრულ პოლიტიკურ ამნისტიას. არის ხალხის სინდისის მოთხოვნა, რომლის დაუკმაყოფილებლობა, აჩრულებს დაგვიანება შეუძლებელია. ხელმწიფევე, სათათბირო ღრმად დარწმუნებულია, რომ ამნისტია შეიქნება პირველი საბუთი მეთისა და ხალხის ურთიერთ თანხმობისა და ნდობისა“.

ვიტტი და დურნოვო ფობი (მოპოპი) და ვიტტი დურნოვო ფილი. (მოკუარული)

ვიტტი და დურნოვო ფობი.— საწყალი, საცოდავი და მწირი ვიტტი და დურნოვო შეშინებულნი ხომ ვაიქენენ; დასტოვეს სამინისტრო და ახლა არ იციან რა ქმნან საბრალოება; ვის კარს მოაღწენენ, სათათბირო მათ კარს არ გაუღებს და ხალხსაც ზიზღით მიანიათ მათი ყველასაგან დაგმობილი საქმენი საგმობო?.

ვიტტი და დურნოვო ფილი.— მაგითი დატუბი, თავი მოიტყვილიე, გული მაგითი მოიხე. მაგამ დარწმუნდა შენს უვიკობას. წინდახედულკბაც კი რამ ვანბია ადამიანისათვის. დარწმუნდა რომ ჯობზე ზიზარ და არა ცხენზე შეეგნე რით ვერ ჩახედი. ნუხარ ემეწვილი. ორასი

ათასი მანეთი აჩუქეს ჩვენ პატივცემულთ მხალმინისტრებს.

ვიტტი და დურნოვო ფობი.— რასა ბრძანებ, ვაღდეგრძელე ჩვენი ახლანდელი სახელმწიფო სათათბირო. უყურე ერთი, რა ერთი ხმითგალობს საერთო ამნისტიას, იმღერის მათ პირს ნათელი და წმიდა გოორგის წმიდა სათელი.

— იცი ჩემო ძმობილო ამას რაკარგი მობანე ჰყავს? ვიტტი და დურნოვო უთუოდ იქმნებიან სახელმწიფო სათათბიროსაგან განსჯილი და დასჯილიც. ამათაც სხვა ბევრი მოჰყვება.

ვიტტი და დურნოვო ფილი.— ოცნებას ნუ მოიშლი; ვიტტი და დურნოვო არიან და იქნებიან რუსეთის აწმყო და მომავალი მთავრობის დედაბოძნი, მათზე იტრიალებს რუსეთის ერის ჩარხი. ტვინიც მაგათია და ჩინიც მაგათ დაიკვებონ.

I გრიგოლ ზაზას წერილი.

წიგნი წმ. გრიგოლ პირველისა კვირინო ანუ კვირიკო ეპისკოპოსს და სხვათა დანაშთთა იბერის კათოლიკე ეპისკოპოსთა: 596 წ.

პაპი გრიგოლ I.

„სიყვარულმა სიშორე არ იკისი, ვისაც ადგილი აშორებს, მას ეპისტოლე აახლოვებს. ამ წიგნის მომტანმა, რომელიც აქ მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს საფლავის სალოცავად მოვიდა, დაგვარწმუნა, რომ ჩვენთვის წიგნი გამოგვიგზავნიათ. მაგრამ ამ ს სხვა ნივთებთან ერთად იერუსალემში დაუკარგავს. ამანვე მოგვითხრა, რომ იმ წერილით გვეკითხებოდით: ნუ თუ ყოველთა რჩეულთა კათოლიკე ეკლესიის წიაღში შესასვლელად, ნესტორის შეტომათაგან მოქცეულ მღვდელთა და ერთათვის საკიროა ნათლისღება, ანუ კმარა მარტო აღსარებაო? ამ საგნისა ჩვენ უწყით ჩვენის მამების ძველის დამოს ჩვეულება, რომ, როდესაც ვინმე მოიქცევიან მწველებლობისაგან, რომელშიაც მონათლულან წმიდა სამების სახელით, მათ ეუერთებო წმინდა ეკლესიას ან ზეთის ცხებით, ან ხელ დასხმით და ან მარტო სარწმუნოების აღსარებით. ამიტომ დასავლეთში არიოსანებისაგან მოქცეულთ ეუერთებთ კათოლიკე ეკლესიას მარტო ხელ დასხმით; აღმოსავლეთში კი მათ სცხებენ ზეთისა შესარიგებლათ. ხოლო მონოფისიტელებს და სხვათა მარტო სარწმუნოებას აღვიარებინებთ, რადგან მწველებლობაში მონათლულთ სული წმინდა მაშინ სწმენდს, როდესაც ნესტორიანები ჩვენის ხელ

დასხვით და მონოფისიტელები სარწმუნოების აღსარებით უერთდებიან ეკლესიას. გარნა ის მწვალებლები, რომელნიც წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი, როგორათაც ქრისტეს უარის მყოფელნი ბონოსიანები და კათოფარიგელები, რომელნიც სული წმიდად რაცხვენ მონტანისტელების ბორატს კაცსა, რომლის მსგავსიც ბევრი არის, უნდა მონათლონ, რათა ეკლესიას შეუერთდნენ, რადგან ესე ვითარ შეტომაში მყოფთა მიერ წმიდა სამების სახელით მიღებული ნათლისღების განმეორებად, რადგან, როგორც ვთქვით, ნამდვილად წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი. ხოლო ნესტორიანების მწვალებლობას ისევ მათი შეცდომილება აბრძავებს. ისინი წმიდა სამების სახელით არიან მონათლულნი, მაგრამ მსგავსად ურიებისა, ღვინებით უარს ჰყოფენ მხოლოდ შობილის ძის განხორციელებას. ამიტომ, როდესაც ისინი მოიქცევიან წმიდა კათოლიკე ეკლესიისადმი, საჭიროა ასწავლოთ მათ ქეშმარიტი სარწმუნოების აღსარება, რათა ირწმუნონ მტკიცედ, რომ ძე კაცისა, ღმერთი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე ღვთაებით არს უწინარეს სოფლისა და იგივე განკაცდა ბოლო დროს, რადგან ვამბობთ სიტყვა იგი იგი რა განხორციელდა, არ შეიცვალა იმისაგან რაც იყო, არამედ მიიღო და გახდა ისიც, რაც არ იყო. საუკუნომიმის მხოლოდ შობილმა ძემ თავისი განხორციელების საიდუმლოთ თავისი არსება კი არ დაამცირა, არამედ ჩვენი ბუნება აღამაღლა. ამიტომ სიტყვა და ხორცი ერთი და იგივე პირი არს, როგორც თვითვე სთქვა: „არ ვინ აღხდა ზეცად, გარნა რომელი იგი გარდამოხდა ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს ზეცათა შინა“. იგივე ძე ღვთისა ზეცაში, იყო ძე კაცისა, რომელიც ლაპარაკობდა ქვეყანაზედ. რაისაგამო ამბობს იოანე: „ვიცით რამეთუ ძე ღმერთისა მოვიდა და მომკა ჩვენ გონებაჲ“; იქვე დასძენს, თუ რაბაში გონება მოგვცა: „რათა ვიცოდეთ ჩვენ ქეშმარიტი ღმერთი“. ამ ადგილს რომელ ქეშმარიტს ღმერთს გვაუწევებს იგი? ნუ თუ მართა ყოვლის მყრობულ მამას? თუ რას უმატებს ძის ყოვლის მყრობლობის შესახებაც: „და ვართ ჩვენ ქეშმარიტისა თანა ძისა მისისა იერო ქრისტესი“. ამბობს ქეშმარიტი ღმერთი მამა, ქეშმარიტი ძე მისი იესო ქრისტე, თუ ქეშმარიტი ძე ვითარი არს, ცხადთ ვკისრებებს თქმით: „ესე არს ქეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება სუკუნო“. ხოლო ნესტორის შეცდომილების მსგავსად, უკეთეს სხვა იყოს კაცი იესო

ქრისტე, რომელიც ქეშმარიტი კაცია, ცხადია, რომ აღარც ქეშმარიტი ღმერთი და აღარც საუკუნო ცხოვრება იქნება. მაგრამ მხოლოდ შობილი ძე სიტყვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შეიქმნა კაცი. ამიტომ ეს არს ქეშმარიტი ღმერთი და საუკუნო ცხოვრება. ვინაიდან, როდესაც წმიდა ქალწულს იგი მუცლად უნდა ელო, თავისთან მოუბარ ანგელოზს უთხრა: „აჰა მხვეალი უფლისა, მეყავნ მე, ვითარცა ამბობ“- რა თამს მიუღდა და თავის ნათესავ ელისაბეთთან წარვიდა, მსწრაფლ იმავე ელისაბედისაგან გაიგონა: „ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?“ ესრედ იგივე ქალწული იწოდების მხვევლად და დედად უფლისა. მხვევლია უფლისა რადგან სიტყვა „მხოლოდ შობილი უწინარეს სმუკუნეთა“ თანასწორი არს მამისა. ხოლო დედა არს, რადგან მის საშოში მისივე ხორცისაგან სული წმიდის მოქმედებით განკაცდა. არც ისეა, რომ სხვისი იყოს მხვევლი და სხვისი დედა, რადგან ღვთის მხოლოდ შობილი, მყოფი უწინარეს სოფლისა, მის მუცლისაგან იშვა კაცი გამოუთქმელის სასწაულით; ამიტომ გახდა მხვევლი კაცისა ღვთაების გამო და დედა სიტყვისა ხორცის გამო. ჯერ კი არ ჩაესახა ხორცი ქალწულის საშოში და შემდგომ ღვთაება კი არ მოვიდა ხორცთან, არამედ რა წამს სიტყვა მოვიდა მის საშოში, წამსვე სიტყვა ხორციელ იქმნა, და თანავე დაიცვა თავისი ქეშმარიტი ბუნების ყოველი თვისება. ესრეთ ძე ღვთისა მხოლოდ შობილი ქალწულის საშოსგან იშვა სრული კაცი, ესე იგი მქონე გონიერი სულისა და ხორცისა. ამიტომ ყოველთა უმეტეს ცხებულად იწოდების, ვითარცა იტყვის მეფსალმუნე: „გცხოვენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელით“, ესე იგი სული წმიდის ნიქით; მაგრამ უმეტეს ყოველთა იცხო, რადგან ჩვენ კაცნი, ჯერ კაცნი ვართ ცოდვილნი, შემდგომ სული წმიდის ცხებით ვიწმინდებით. ხოლო იგი, რომელიც უწინარეს სოფლისა ღმერთია, ბოლო დროს სული წმიდის მიერ ქალწულის საშოში განკაცდა, მასშივე იცხო იმავე სულისაგან, როდესაც ჩაესახა. არც ისეა, რომ ჯერ ჩასახულ იყოს და მერმე ცხებულ. არამედ სული წმიდის თვით იმავე მოქმედებით, რომ ქალწულისაგან ხორცი შეისხა, იცხო სული წმიდისაგანვე. ამიტომ ვინც ნესტორის შეცდომილებისაგან მოიქცევიან, თქვენი წმიდა კრებულის წინაშე აღიარონ მისი ქეშმარიტი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისნი მიმდევარნი და სხვა დანა-

რჩენნი მწვალებელნი. ვგრეთვე შემოგპირდენ, რომ პატრისტებენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამ სიძნელისა, მიიღეთ ესრეთი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დასტოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიაც არიან. განუზნით მათ შეტოპილებანი და ასწავლეთ, ყველაფერი, რაც კი საქიროა; სიტკობებით მოეპყარით, ნურავითარ სიძნელეს აღმოუჩინეთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელისაგან დაიხსნათ. ეგოდნათ ყოვლის მპყრობელის უფლისაგან განიშრავლებთ საუკუნო დიდებას სასყიდელს, როდნათაც უფრო მომეტებულად შემოპყრებით მათ, რათა თქვენთან სამარადისოდ აღიდონ უფალი. თქვენთვის ვევედრებით წმიდა სამებას, რათა თავილი ი მფარველობით დაგიცვასთ და თავისი სიყვარული არ მოგაკლოსთ”.

**საუჩაღდებოდ საქართველოს
სამღვდლოებისა.**

მოუცლელობის გამო მარტო დღეს გადავალე თვალთ **„Церковныя Вѣдомости“**-ს ამ წლის ზოგი ერთ ნომრებს და მთლად სახტად დაერჩი, როდესაც გავიცანი ხსენებული ჟურნალის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფილობის შესახებ. ვითომდა ქართველი სოფლის მღვდელი სწერს: „საქიროა ნამდვილად დღეს ჩვენთვის ავტოკეფალია, სასარგებლოა იგი, თუ ეს კითხვა ხელოვნურადაა წამოყენებული არეულობის წყალობით? ნუ თუ რუსებს სჯერათ, რომ ავტოკეფალია სურთ ქართველ მღვდლებსა და ეს? დაიჯერო უწმიდესი სინოდი მოატყვეს უჩაღდებას საქართველოს სამღვდლოების ამ მოგონილ და არა ნამდვილ სურვილს? თუ მართლა დაიჯერა და ამით საქართველოს ეკლესია ჩააყენა უბედურსა და მწარე გარემოებაში, სინოდი პასუხს არ აგებს ამაზე მსოფლიო ეკლესიის სამსჯავროს წინაშე?..“

— ზომიერების მიმდევარ ქართველ მღვდლებს არ გვესაქიროება არავითარი ავტოკეფალია... ჩვენ მუდამ დღე ვლოკულობთ ეკლესიათა ერთობისათვის და არა განყოფისათვის, ქრისტიანობა უმაღლესია, ვიდრე ეროვნული ვიწრო ფარგალი, ქრისტიანობისათვის არა არს ურიებება, არცა წარმართობა; არა არს მონები... ყველანი ერთი ვართ ქრისტე იეჟუს მიერ (გაფატ. 3, 28). ჩვენ ღრმად

გვწამს, რომ აღსრულდება მაცხოვრის სიტყვები: — და იყვენ ერთ სამწყსო და ერთ მზყემს...“

ამ გვარად, მოყვანილი წერილის იქონს რომ დაუჯეროთ, გამოდის, რომ კითხვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წამოყენებისა ქართველი სამღვდლოების სულ მცირედ ჯგუფს წინააღმდეგ ამავე სამღვდლოების დიდი უმეტესობის იმ შეგნებული და ბეჯითი რწმენისა, რომ სამშობლო ეკლესიის განთავისუფლება ან ავტოკეფალიობა არამც-თუ არაფრის მაქნისია, პირიქით დამღუპავი, უბედურობის მომასწავებელი საქმეა და, რასაკვირველია, ამის გამო სამღვდლოება არც ყოფილა და არც დღეს არის მისი მომხრე. თქვენ თიონ ბძანეთ, რა უნდა ფიქროს ამ წერილის შემდეგ უწმიდესმა სინოდმა ჩემს ნაშუსსა და პატროსნოაზე, როდესაც სიტყვით და წერილობით ვარწმუნედი მას, — სინოდს, რომ ავტოკეფალიას თხოვლობს საქართველოს სამღვდლოება, ესაა შეურყვეველი რწმენა სამღვდლოებისა, ვერა-გვარი ქვეყნიური ძალა ვერ აოუხერის ამ რწმენას სამღვდლოებში გონებიდან, არა-გვარ კომპრომისებზე არ გასცრლის იგი ამ რწმენას და, თუ საქირო იქნება, არც არავითარ მხერპლს არ დაღრიდება მეთქი ამ გულითადი საწადელის განხორციელებისათვის) და სხვა!.. ბძანებთ — არც უნდა გელაპარაკათ მაგვართ, რადგანაც აღქურვილი არ იყავით სამღვდლოების ვეჭილბ-თო! დიად; სამღვდლოებას არ დაუვალე-ბა და არც მოუნდვია ჩემთვის მისი სახელით დაცვა ავტოკეფალიისა სინოდის წინაშე, მაგრამ განა საქირო-და იყო კიდევ ჩემთვის რაიმე ვეჭილობა სამღვდლოების მხრივ შემდეგ იმ ვრცელი დასაბუთებრი და მედგარი პეტრიციებისა, რომლებითაც სამღვდლოებამ მიმართა სინოდს შარჰან? პირველად ამ საგნის შესახებ გაიგზავნა 1905 წელს მარტში იმერეთის სამღვდლოების პეტრია, მაგაყვა თან აპრალში გურია სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოებისა და, ბოლოს, ნოემბერში, ქართველი მღვდელთმთავრებისა. ეს პეტრიციები მოისაზრა და შეიმუშავა მთელმა სამღვდლოებამ, მადილის დამტანი და დამზავრელი არაიენ ჰყოლი საკუთარი სურვილი და ნებაყოფლობით დაფარმან პეტრიციები ხელის მოწერით და ამაზე უდიდესი ამაზე უფრო ცხადი საბუთი აღარ იყო ჩემთვის საქირო; სწორეთ ამან გამაბედვინა სინოდში სამღვდლოებას სახელით გაბედულათ მსჯელობა ავტოკეფალიის შესახებ.

მევაქციე საქართველოს სამღვდლოების გან

საკუთრებით ყურადღებას შემდეგ გარემოებას: ეს პირველი არაა რუსულ პრესაში იმ აზრის გამოთქმისა, რომ საქართველოს სამღვდელთა არასურს და არც უთხოვია მთავრობისათვის ეკლესიური ავტოკეფალია; მას აზინებენ, ატყუებენ, მისი სახელით სარგებლობენ და სთხზავენ სიკრუით აღვსილ პეტრიკების სხვა-და-სხვა ბოროტი მიმართულების პირებო, ამაზედ მეტად სამღვდელთა განაღდება, ჩემის წიკრით, წარმოუდგენელია. სიხუმრამ შემთხვევაში დანაშაულად უნდა ჩათვალოს სამღვდელთა, მან დაუყონებლოდ უნდა გამოსთქვას, რომ თავის სახელს არაფერს არ ათელინებს, არაფერს არ აპატივებს, რომ მის შვიგერათ, მისი სურვილის წინააღმდეგ, მის გაუგებრად და ნება დაურთველად სწერონ პეტრიკება ავტოკეფალიის შესახებ და თუ ეს საგანი წამოყენებულია დღეს, თუ ამის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და იწერება დღეს სამღვდელთა სახელით, ეს მოხდა და ხდება ამ წოდების ნება ყოფლობით, მისი სურვილით, ამითი სამღვდელთა გამოსთქვამს თავის რწმენას, თავის ერთგულობას ქრისტიანობისადმი, სახარების მაღალი მოძღვრების მართებულ შგნებას ასეთი განცხადება აცდენს სამღვდელთა მომავალში მოსალოდნელ შეურაცხოფას ბეჭდითი სიტყვის საშუალებით, დამიხსნის პირადთ მე იმ საზიზღარი და ღირსების შემბლალოვი ბრალდებ-საგან, რომ ვითომც ბოროტი განზრახვით შეცდომაში შემყავდა სინოდი, როდესაც სამღვდელთა სახელით ვიცავდი ავტოკეფალიას, გაუადვილებს, როგორც კაც სიის აღმინისტრაციას, ისე სინოდს ავტოკეფალიის ჩვენდა სასურველად გადაწყვეტას და გამოარკვევს, ვინაა დღეს ჩვენში მომხრე ან მოწინააღმდეგე ამ კითხვისა.

ნათქვამის განხორციელება შეიძლება მოხდეს ამ გვარად: ყოველი ბლაღოჩინი დაიბარებს თავისი ოლქის სამღვდელთა, გააცნობს მას მოყვანილი წერილის შინაარსს და სხვესაც მის მსგავს, ბოლოს სამღვდელთა სრული თანხმობით, გარეშე ყოველი ძალდატანებისა, თანახმად მღვდლების სეინიდიონისა დამსწრენი აღგნენ დახლოვებით ამისთანა შინაარსის ოქს: ჩვენ ქვემოთ აისა ხელის მომწერნი ამით ვაცხადებთ, რომ პეტრიკით ვთხოვლობდით და დღესაც მტკაცდ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იმ გვარი შინაარსის წერილები, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორც არის, შევლითად ამ წლის „Церковныя вѣдомости“-ს

შეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული, ჩვენ მიგვაჩნია საზიზღარ პასკეილებად. ოქმები, შემდეგ ბლაღოჩინის შემწეობისა, უნდა გავზავნილ იქმნენ „საქართველოს საეკლესიო მახარობელი“-სა და „შწყემსი“-ს რედაქციებში, რომლებიც, რა კითხი უნდა, თავის დროზე გამოაქვეყნებენ ყველაფერს ამას და მით დაუყობენ პირს საქართველოს სამღვდელთა ძვირად მახსენებლებს. ვთხოვ დანარჩენ ქართველ ყოველდღიურ და კვირეულ გამოცემებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

საქართველოს ავტონომიის დამცველი სათათბიროში.

რადგან ჩვენის ქვეყნის წარმომადგენლები ჯერ არ არიან სახელმწიფო სათათბიროში, სათათბიროს წევრთ-ავტონომისტებს დი ფედერალი-სტებსა (პოლონეთის, ლიტვის, ლატიშ-ესტონეთის და სხვა. წარმომადგენელთ) გადაუწყვეტიათ თვითონ იკისრონ სათათბიროში საქართველოს ინტერესების დაცვა, რაც დაუვალეებით პოლონეთის ცნობილ დეპუტატის ბან ლენიციკისათვის. ბან ლენიციკის ამის გამო დეპეშები გაეგზავნა ტფილისიდან:

1) ქართველ ავტონომისტების სახელით დაიცვას საკითხვი ავტონომიის შესახებ, როცა სეფე-სიტყვის საპასუხო აღრესზე იქნება ლაპარაკი, 2 ტფ. თავად-აზნ. წინამძღოლის თანამდ. აღმ. თავ. ა. ი. ორბელიანისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ შარშან თავად-აზნაურობამ აღძრა შუამდგომლობა ავტონომიაზე. ქუთაისიდან ამავე საგანზე შემდეგი დეპეშები გაუგზავნიათ: „დასავლეთ საქართველოს ცხოვრებთა დეპუტატები მათგან დამოუკიდებელ მიზნებისა გამო, სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას და აიტომ უმოჩილესად გთხოვთ, როცა სეფე-სიტყვის შესახებ იქნება ბაასი, თქვენს თავზე მიიღოთ შრომა და დაიცვათ საქართველოს უფლება თვითმართველობაზე (ავტონომიაზე) დემოკრატიულ საფუძველზე უამისოდ ყოველად შეუძლებელია ხალხის დამშვიდება ან მისი ელემენტარულ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“. დეპეშას ხელს აწერენ: ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. წერეთელი, ქუთაისის ქალაქის თავი ლორთქიფანიძე, ს.-ფ.-ს ქუთათური კომიტეტი, ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუ-

ციონალ დემოკრატიული პარტია, ქუთაისში მყოფი ამომრჩევლები სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა: ივანე აბაშიძე, დავით ნიჭარაძე, თავადი ოთარ დაღეშკელიანი და შავი ქვის მრეწველი საბკოს თავმჯდომარე ზდანოვიჩი.

დადგენილები.

ახ. სათათბიროს წევრთა-ავტონომისტთა და ფედერალისტთა კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს სათათბიროს წინაშე, რომ საკითხი ავტონომიის შესახებ შეტანილ იქმნას სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესში, საქართველოს დეპუტატების ჩამოსვლამდე კრებამ პოლონელ დეპუტატს ლედნიცკის დაავალა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის დაცვა-ლედნიცკემ ეს არის წარუდგინა სათათბიროს განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ.

რეზოლუცია.

კავკასიის იურიდიულ მეოთხე კრებაზედ 29 აპრილსა. დაადგინა შემდეგი რეზოლუცია „კავკასიის იურიდიული საზოგადოება სცნობს რა, რომ კავკასიის ერებს უფლება აქვთ მიიღონ ნაციონალური-ტერიტორიალური ავტონომია, ამასთანვე ცნობს რომ საქართველოსათვის სასურველია და ეხლავე განსახორციელებლად შესაძლებელია ნაციონალური-ტერიტორიალური ავტონომია.

უკანასკნელი ცნობანი.

— რუსეთი სახელმწიფო სათათბირო შესდგა. თავმჯდომარედ აღმორჩეული იქმნა მურომცევი.

— ხალხი ამნისტიას თხოულობს; სათათბიროს შვედრეც მას ვაიძახიან, მაგრამ ჯერ კი ამნისტიის არცთან რა.

— ქვაბი დულს და ტაფა შრება სამლოს თავი არ უჩნდება.

— დეპუტატებმა პირველი კრება მოახდინეს ბევრი სასურველი სატყუები ითქვა, მაგრამ რეზოლუცია კი არაფერი გამოვიდა. ველოდეთ: ქუხილს წვიმაც მოჰყვება; გვალვის დროს წვიმა წყალობაა.

— პირველ მისობამ საზოგადოთ მშვიდობიანათ ჩაიარა.

— 1 მისი. დუმა არ მოქმედობს აქციები დავსა.

— ბევრგან განათავისუფლეს საპოლიტიკო ტუ-კადნი. მრავალი სარევე-ლუციონარო კერძო დაწესებულება უშვარები, არა ლეგალური სტამბები ამოაჩნდეს.

— ანგლია მეფე ელუარდი VII ლონდონში დაბრუნდა.

— მეფე ისპანისა და პრინცესა ბატემბერგისა ლონდონში იყვნენ ინქოგნითოდ.

— პარველ მაისს. ადგილ ადგილ მუშაობა შეწყდა. ქარხნები აღარ მუშაობდენ, წესიერება არ დაშლილა.

ანგლიის მთავრობამ დაკმაყოფილება მიიღო სათათრეთის მთავრობისაგან. სამნების და ჯარის ამხედრების შესახებ.

— გერმანია 26 იენისისათვის გადადებულია კრება ფოშტა-ტელეგრაფის მუშათა შესახებ.

— კანცლერი ბიულოვი უკეთ გახდა.

— ავსტროვენგრია კნიაზ პრინცი ნიკოლა მო-ტენეგრისი მოვიდა ვენნაში.

— მთელ ვენგრიაში პოლიტიკურ რჩევებს ახდენდენ.

— მრავალ ადგილებში უწყსობა მოხდა.

— ქ. უბანში შეტაკება მოხდა; სისხლიც კი დაიღვარა ამორჩევის დროს.

— ამორჩეულთა დეპუტატთა რეზულტატი ავსტროვენგრიაში შემდეგია: 388 იქმნა ამორჩეული, ამათაგანი. 233 დეპუტათაგან დამოუკიდებელია 68 კონსტიტუციონული. 30ხალხისა 1 ახალი პარტიიდგან 1 სოციალისტია.

— იტალია. მილანის ექსპოზიციამ ყველა აღ-ტაცებაში მოიყვანა. მეფე მილანიდგან რომში დაბრუნდა. მილანის ექსპოზიციის კომიტეტმა გერმის ბუთის მხატვრობის გრუპა სპილენძზე გადახატული და ამოჭრილი მიართვა მეფეს ამ წარწერით.

„ვიქტორ ემანუილს მეფე იტალიისა.

ქ. მილან აპრილი 1906.

მეფემ რომში წასვლის წინეთ მისცა მილანის აღმინისტაციას 50 ათასი ლირა. ხალხის შესაწყენელად. 20 ათასის ლირა. შესაწყენელად ვეზუ-ვის დაშავებულ გაქირებულ ოჯახთათვის.

ქ. ლისაბონში არჩენები მოხდა ამოირჩიეს დეპუტატები: 115 მინისტერალები 40 ოპიზაცია-ნალნი

— ხერბია. კაბინეტი შესდგა. საგარეო საქმე-თა მინისტი. იქმნა პრეზიდენტათ არჩეული ნეტს. პაში, საშინაო საქმეთა. პროთიკი ფინანსი. პაკუ. მეომარი. პუტნიკი. სარწმუნოებისა. ანდრე-ნიკილკი. სასამართლოსა. ვეზნიკი. მრეწველობის. კოსტანტინოვიანო.

ა მ მ რ ი კ ა


ამერიკის რესპუბლიკა. შერთებულნი შტად-

ნი.—ქ. სანფრანჩისკოში დიდის შიშით არიან შეპყრობილნი მცხოვრებნი; უცდიან საათიდან და საათზე მიწის ძვრას.

აზია

აზია ჩინეთის მთავრობამ დააკმაყოფილა საფ-

რანგეთის რწმუნებული მინისტრი წარმოადგენელი იმ ზარალის მოთხოვნის დაზღვევად რომელიც მოხდა ნანგკანგის პროვენციის გადაღება 400,000 ტაელსა და მემბოხეთა დასჯა და დატუსაღება ალუთქვი.



წმიდა ნინო, თამარი და ქეთევან დედოფალი.

არმი და ქრისტიანობა საქართველოში.

(დასაჩუღი)

აგერ ცხადად სჩანს თუ როგორ შეურყვევია კათოლიკობა ამ ანტონ კყონ-დიდელსა და შეეთებია პეტრეებსა, ამისივე შეზილზილპეველებულია თავიდან ბოლომდინ თამარის ისტორია. როდესაც სოლან დაეთი ქმარი მოუკვდა თამარს იწყო სინანული როგორც სწერია: „ხოლო სჯულთა მიმართ სიღმრთოთა ვინ იყვენ ესრედ მოშურნე, ვინა სიძლადლით თავის მძღრეველ, რამეთუ თვოდოს, დისაცა აღებატება და ლოცვანი და ღამის თევანი, რომელნი პოლატხა შინა ამისსა აღესრულებოდეს.

საეკოდ მოჩანს შეუდებნოეთაგანაცა, ხოლო მარხვისათვის რაღა ეთქვა; იქვე 336 გ. სანანელად გაუხდა უჯერო ქორწინება, რომ სჯული დაარღვია. მისგან შექმნილი შვილებიც ვერ იყვენენ კეთილ-საიმედონი არც ქალიშვილი რუსუდნი და არც მისი მმა ლაშა გიორგი. რამეთუ თვითეული ხე თვსისაგან ნაყოფისა საცნაურ არიან, რამეთუ არა ეკალთაგან შეპკრიფიან ლეღვი არცა გაყვალთაგან მოისთვლიან უქმნი.“ ლუკ. ვ. 44. სატირელი გაუხდა პიტონის ახსარებაცა, შეაცდინა საქართველო მოაშორა წმ. პეტრე მთავარ-მოციქულის საყდარსა ჩააგდო ქვეყანა ურწმუნოების განსაცდელში. მოღალატე გახდა ქვე-

უნისა, მგმბ-სული მამა-პაპის სარწმუნოებისა, რისთვისაც პაპა მისი დავით აღმაშენებელი ვედრებობდა უფალსა: „ღმერთო მაცხოვარო ჩვენი, ყოვლისა დამბადებელი, რომელმან სიტყვით დაამყარენ ცანი მალაღნი უკულით ძალით მათით და სულითა მით საღმრთოთა, დამამტკიცენ ჩვენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისაო, იგონებდა იამას და თავში იცემდა, ხედავდა კარის კაცთა, ჯარის მთავართა და თავად-აზნაურობას, რომ დღიდგან დღეზედ ირყენებოდნენ; შური, მტრობა, ერთმეორეს ლაღატობა, მედიღურობა, ტაცვა-გლეჯა არ ასვენებდა ქვეყანასა. მაჰმადიანთ სხვა და სხვა ტომებს გარშემოხვეულთ მგლეჯელ მფრეწელ ლომებსავეთ თვლები დაენტოთ ქვეყნის ასაკლებად; დროს უძებნიდნენ, როდის ჩავარდება თავად-აზნაურობაში განხეთქილება, გაყრა, დაშორება ერთმანეთისაგან, ამბობდნენ, რომ ჩვენ შევესნიოთ აქეთ იქითგან მოულოდნელად ავიკლოთ, ავიმოხროთ და ჯავრი ვიყაროთო. იქით უყურებდა ბერძნებს რომ ერთიან დაცემულიყვენ, გული გასტეხოდით დიდსაც და პატარასაც, მაჰმადიან ოსმალოებს, თათრებს, ქურთებს და თურქმნობას წინ ვეღარ დასდგომოდნენ, ყველგან მარცხდებოდნენ თან და თან იელიტებოდნენ, მიწა წყალს ქალაქ სოფლად ჰკარგავდნენ, ორ სამეფოდ გაყოფილიყვენ კონსტანდინეპოლისა და ტრაპიზონისა. არც ერთს აღარ მოსდევდათ დაღალვისა დაქვეითებისაგან წელ ზურგი, რომ თავი დაეცვათ და საქართველოს გასაქირში რაღა შემწეობას მისცემდნენ, ეს და მრავალი ამისთანა სულისა და გულის შეშუთველნი უბედურების მოლოდინნი დღესა დასიცოცხლეს უძწარებდნენ თამარსა. მისთვისაც სხვა ღონე საშუალო რომ აღარა ჰქონდა, მარხვა მარხულობას, ლაცვას, ღამეების თევას დამოწყალებას მისცა თავი, რომ სინანულით სული მაინც მსხონებინა და არ წაწყმედილიყო. ამისგან დაქლერქდა, ჩაქრდა უკურნებელ სნეულობაში და დაღლიდა და ნაღლისაგან თავიც მოიშაქრა! რომმა რომ არ იცოდა ქართველების შეერთება ბერძნების აღსარებასთან, მისთვის 1224 წ. ჰონორიო პაპმან მოსწერა წერილი რუსუდანსა, რომ იმპერატორი ფრიდრიხი აპირებს ურწმუნოთა წინაღმდეგობის დაწყებასა წმიდა ადგილებში, ურჩევს დედოფალს, ოღონდ ქართველებსაც მიიღონ ამ ომში მონაწილეობა და შე მიუცემ indulgence (ყოღების დროებითი ფაშაიკი სასჯელის შენდობას), ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ ომში, ან თვითან, ან მის-

გან დაქირავებულს გამოგზავნილს კაცსაო. მწყემს. 1890 № 10. 30.

ახლა ვნახოთ ფოტ პატრიარხის და მიხეელ კერულაროს მიწერილ შეტომილებას რომის კათოლიკეზედა რამოდენი საფუძველი აქვს, განა ღირს რათმე. მისაღებია ყოველ კეთილ მოაზრე ქრისტიანისაგან თუ არა? ბრალად სდებს ფოტი: ა. დასავლეთის ეკლესია შაბათ დღეს მარხვას ინახავსო.—მარხვის შენახვა შაბათობით განა ცოდვა არის მიზეზ გარედ. მეუღაზნოვლნი, მარტო მყოფნი და ბერ-მოლოზნები უმრავლესნი მარხვას ინახვენ თავიანთ სიცოცხლეში. ეს იმათ თუ მადლათ ეთვლებათ. ლათინებს ცოდვად რათ ჩაეთვლებათ? შაბათს მხოლოდ ურჩებისთვის მნიშვნელობა აქვს. ქრისტიანებისთვის მხოლოდ კვირა არის საპატიო. ბ. დიდმარხვას ერთ კვირას აკლებენო. დიდმარხვაში წველეულს, კვერცხსა და ერპოს ხმარობენო.—რომის კათოლიკეთ ოთხშაბათიდან დაწყებული ბზობამ დის ორმოცი დღის მარხვა უსრულდებათ. რძეს, კვერცხს და ერპო-ყველს თუ ხმარობენ თევზეულთან ერთად, ბუნებითი საზრდელი არის, ზეთეულეებით. წდ. სამარხო საქმლება უფრო ძნელი მოსანელებელი არის და ქარებიანი, ვიდრე წველეულის, რომელიც უფრო შეთვისებულია ბუნებასთან ზომიერების დასაცველად. ვნების კვირა სხვა მარხვაა. გ. მღვდლებს უცოლშვილოთ აწესებსო. თუ რომ სიწმიდისათვის წმიდა აღსავალისა, ეპისკოპოსნი უცოლშვილონი არიან ასობით და ხუთასობით და კეთილია. რატომ უცოლშვილობა მღვდელთათვის კეთილი და წესიერი არ იქმნება ათასობით და ათიათასობით ნაკურობებისა.“ და არიან საქურისნი, რომელთა გამოისაქურტნეს თენი თვისნი სასუფეველისათვის ცათასა, რომელი შემძლებელ არს დატევენად დაიტენ. მათით. 12. ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარი სათნო ეყოს კოლსა... უქორწინებული იგი ზრუნავს უფლისასა, რათა იყოს წმიდა ხორციო და სულითაცა.. ა. კორინთ. ზ. 33.84“. ბერძნის მღვდლები თუ ცოლ-შვილიანი არიან, რას სიკეთე მოაქვთ ერისათვის, არაფერი. მხოლოდ თავს ინახვენ და ცოლშვილთა.

დ. მრწამში მამისაგან სულის წმიდის გამამაელობას ძისაგანაც ამბობენო; რადგან თავიანთ მამა პაპური ჩვეულობისაერ ბერძნებმან წვალებად გახადეს მრწამსში სული წმიდის გამომავლობა მატრო მამისაგან, ამიტომ კათოლიკებმან საგნის ახსნად ძისაგანაც თქვეს, რომ ბოლო მოღებოდა წვალებად.

სა; ეს პირელად სპანიაში დაიწყეს და მერმე საფრანგეთში და იტალიაში გახდა სახმარად, მაგრამ რომში ისევ ძველებურად დაა დღესაც ვერც არის. განა ჩვენ რომ არ აღვიაროთ ძისაგან გამოძავლობა, საღმრთო წერილში თქმულთ ანეს რასმე სული წმლის გამოძავლობასა, როგორც მამისაგან ისე ძისაგანაც? არა; მხოლოდ ჩვენ ჩვენი უგუნძრობა დაგვრჩება ნაკიცხვად, — რას ამბობს ქრისტე წმ. სახარებაში: „მე ვარ გზა და ქეშმარიტება და ცხოვრება... მე ვარ ვენახი ქეშმარიტი... ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის მცემელი იგი, რომელი მე მოვალინო თქვენდა, მამისა ჩემისა მიერ, სული ქეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან მამისა ჩემთვის.“ იეს. იდ. 8. იე. 26“. ავერ მომალინებელი არის ქრისტე თავის მამითა სული წმლისა. მერმე ამბობს: სული ქეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს... ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ქეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ქეშმარიტებასა ყოვესა, რამეთუ არა იტყოდეს თავით თვისით, არამედ რაოდენ რა ესმეს იტყოდეს და მომავალი გითხრას თქვენ, მან მე მაიღოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ. ყოველი რაოდენი აქეს მამასა ჩემი არს, და ამისთვის გარქვი თქვენ რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ. იევე 13. 14. 15. აქ სულ უუცხადესად ამბობს: ყოველიფერი რაც მამაჩემს აქეს ჩემი არის, ამიტომ გითხარ თქვენ, როგორც მამისაგან, ისე ჩემგანაც მიიღებს ერთ ღვთაებრივ ძალ-ღონე ყოვლის მპყრობლობას და გამოძავლობასაცაო.—ამათ თუ თავიანთებურად ხსნიან ბერძნები. აღდგომის უკან: „ერქვა მათ იესო კვაჯად მშვიდობა თქვენთანა, ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგაუღონებ თქვენ, ვითარც ესე მსთქვა. შეპბერა მათ და რქვა: „მიიღეთ სული წმიდა“. იე. კ. 21. 22. თუ ქრისტეს არა მქონდა სული წმინდის გამოძავლობის შეძლება, როგორ მისცემდა შებერვით სული წმინდის მ.დღთა ეპისკოპოსობისათვის თავის მოციქულთა? ამისთვის ამბობს: „მე და მამაჩემი ერთი ვართო — იე. ი. 30. ესენი ფოსტის მიწერილი იყო. ამის დაუმატა მერმე მიხაელ კერულარიო პატრიარხმან შემდგომნი.

მ. წვერს, უღვამს იპარსვენ და და თმას იერქვენ მღვდლებიო.—მღვდლური კურთხევა თმა წვერს უღვამს არ არის დამოკიდებული, არამედ მღვდლურს კვილ-მოღვაწეობაზედა საქმით სარწმუნოების გასაბრწყინებლად. თმინი და წვერიანი ერის კაცნი არიან, ურიები. წარმართნი და ქრის-

ტიანებიცა. რომის კათოლიკენი—როგორც უკორწინებელს ისე უწვერულეაშო მღვდლებს ინახვენ ქრისტეს სახარებისაებრ საზოგადოდ ყრმულ, უმანკობის ნიშნად, როგორც შინაგან წმიდა, ისე სახითაც უმანკო ყოფა ქცევისა იყვენენ. „ამინ გეტყვი თქვენ (უთხრა მოციქულებს), უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათსა.“ და ქრისტიანთ უთხრა: „და რომელმან შეიწყნარს ერთი ყრმა ესე ვითარი სახელითა ჩემითა მე შემიწყნარებს“. მათ. იტ. მ. მ. რამეთუ ბაგენი მღვდლისანი დაიცვენ მეცნიერებასა და სჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლის მპყრობელისა არს.“ მალაქია. ბ. 7. ანგელოზი ყრმის სახისა იქმნება გამოცხადებული საზოგადოდ და არა წვერიანი.

ვ. რომის კათოლიკენი ხშიადი სეფისკვერით სწირვენ წირვასა.—თუ ქრისტემ და პეტრე მოციქულმან და სხვათა ხშიადით სწირეს და ღვთისაგან ჯეროვნად მიღებული იქმნა, რომის კათოლიკეთაგან ხშიადი სეფისკვერით ნაწირი წირვა რათ არ იქმნება ჯეროვანი? თუ კი რომის კათოლიკენი ბერძნების პურის ცომიანი სეფისკვერს წესიერად სთვლიან წირვაში შესწირად, რატომ არ თვლიან ჯეროვნად ბერძნები რომის კათოლიკეთ ხშიადით შეწირულ წირვასა?

ზ. დამრჩეალ ცხოველთა და სისხლსა სკამენო.—ეგრეთი ყოფა ადგილობრივ წესსა და ჩვეულებებზედ დამოკიდებულია, დანით დაკლულიც ისევე პირუტყვის ხორცია და ნაგლევიც ისევე ხორცია. სისხლიც ხორცისაგან არის, როგორც ღვიძლი და ელენთა იმ ნაირი საქმელია. ამათ მიღება დამოკიდებულია კაცის მიმღებობაზედა. ბევრი კაცი ღორის ხორცსაც არა სკამს, რომ გული არ მიუფა, ბევრი კაციც ისე დამგელებულია ხორცეულზედ, რომ ძაღლისა და თავის ხორციც რომ შეხვდეს, არ მოერიდება, მით პირითგან ჩასულ საქმელი რაც იყოს არ წარსწყმედს, როგორც ბრძანა ქრისტემ: „რამეთუ ყოველი რომელი შევალს პირით მუკლად შევალს და განსავალით განვალს, ხოლო გამოძავალი პირით, გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა“. მათ. იე. 18.

მ. დიდმარხვაში ალილუიას არ ამბობენ.—დიდმარხვა გლოვისა და სინანულისა არის. სასინანულო ლოცვა-გალობა საჭიროა. ერის სინანულსა და ღვთის მსახურებაზედ შესგონებლად. ალილუია კი ღვთის კურთხევის საშხიარულო ღვე-

სია; იკურთხევდეთ ღმერთსაო. აქ რა შეტომი-
ლობაა. უკველ ტიპონს თავის წესი და რიგი
აქვს გაწყობილი ეკლესიაში.

აგერ ამისთანა უბრალო უმნიშვნელო რამეებით
ასტეხა გამოცეცებული ბერძნობა გაცეცხლე-
ბულმან შურის სიბოროტით მიქაელ კერულარიო
პატრიარხმან თავიე გაიუპატიურა და ქვეყანაც
გააუბედურა, ჩაუნერგა გულში ბერძნებს ჯოჯო-
ხეთურა ზიზი, სიმპურვარე რომის კათოლიკეზე-
და, არა მარტო დააშორა სულიერად, ისივე ხორ-
ციელადაც, პოლიტიკურად, კათოლიკენიც მოშო-
რდნენ დაანებეს თავი, დაჩნენ მარტო თავიანთ
არეულ-დარეულ, დაუწყნარებელ მდგომარეობაში
მღვდლით ვრამდის ვერლარ გამოირკვიეს თავი ვე-
რას გზით; სიანჩხლე, სიამაყე, არ ასვენებდა არც
მღვდელთა, და არც ერთა, დღიდგან დღეზედ
უკან უკან მიდიოდნენ. თავითგანვე მაჰაპაით ათას-
ნაირ წვალებაში გაჩეველ გაქნილთ რა დაწყნა-
რებდა რაცა დიდ სახელ სახსენებლად მიანდათ
გარეგან პოლიტიკურად მინც. არიოსი, აგეტიანები,
ვენოპიანები, მაკედონიანები, ფოტინიანები, მა-
კედონი, ნესტორი, სერგე, პიროს, პავლე, პეტრე,
ფოტი, მიქაელ კერულარიო, კოსტანდინ, ნიკიტა
და სხვათა მრავალნი კონსტანდინეპოლის პატრიარ-
ხნი. ახლა ამათი მომხრე, მოკავშირე სხვა პატრიარ-
ხნი და ეპისკოპოს მოძღვარნი ვევეტიკი კონსტან-
ტინეპოლის არხიმანდრიტი, დეოსკოროს ალექსინ-
დრიის პატრიარხი. პეტრე მეაწვრელი ანტიოქის პა-
ტრიარხი, პავლე საშუსატელი, ევსები ნიკომიდისა
და ევსები კესარიისა, თეოდორო მომხვეტველი,
ანასტასი და იოანე ანტიოქის პატრიარხნი, აპოლი-
ნარო, იოანე ფილოპონ გრამატიკოსი, სევერო,
კვიროს ეპისკოპოსი ალექსანდრიისა, თეოდორე
ფარანელი, მაკარ ანტიოქის პატრიარხი, პოლი-
რონერი, სტეფანე მოწაფე მაკარისა, თემისტე და
სხვა უბოროტესნი მწვალებელნი, ტიმოთეაუზი
ძლიერი პატრიარხი ალექსანდრიისა, ლუკიდე მღვ-
დელი, გოტესკალი და მისთანანი. აგერ აქ ამთ-
თანებთან დაუღაბდა ჩვენ ბატონ ჰუნდიდელ მწი-
გნობათ—უხუცეს და ვეზირს თავის ქვებულნობითა.
მწუნვალე დღე და სიცოცხლე და შეუდგა ბნელში
პორობით მავალ გაქცეულ-გავარდნილ წყებასა. ბო-
როტებით შებლაღუდის სულით და გულითა, კთო-
ლიკე სარწმუნოება არა მარტო თვითან უარყო და
წაწყნადა სული, არამედ მთელ საქართველოსა უარ-
ყოფინა სულიერად და დაღუპა ქვეყნა, ისივე ხორ-
ციელადაც საგდო მრავალ ნაირს მოსალოდნელ მა-

რკებესა და გაურწმუნოების განსაცდელში. წინა-
ღმდგე თუ ჩვენი ქართველობა კათოლიკედ დაჩენი-
ლაყვენ ჩვენი სასულიერო წოდება განათლებულად
დაჩებოდა. ერი არ გაცივდებოდა სარწმუნოებისა-
გან, ეთობა არ დაგვერღვეოდა, მეფობაც არ გა-
გვეყოფოდა, მაჰაღიანობასულ ვერ შემოსდგამდა
ფხვს ჩვენში, მესხეთში; საინგულოში თუ აფხაზეთ-
ში და დღეს ისევ მტკიცედ იქმნებოდა მეფობა
ჩვენი ჩვენს დიდ სასიკეთოდ და სასიკადულოდ.

ჩვენი სასულიერო წოდება ბერძნებთან შეერ-
თებისთანავე დაეცა. ბერძნის სასულიერო წოდე-
ბამ იწყო ნავარდობა თავისუფლად ჩვენში. გაიჩი-
ნეს საცა არა მგონია მონასტრები, შავშეთს, კლა-
რჯეთს, არტანუჯს, ართვინს, არტანს, ფოცხოვში,
ჯავახეთში, ერუშეთში, აწყვერს თისელში, ქვაბლ-
იანს, იმერეთში ვარძიას, საწერეთლოში, გურიას
სამეგრელოს ბღვრგან, საქართველოში კარგ ადგი-
ლებს, ასრეთვე კახეთში სადაც მოწონათ. იქონი-
ეს გავლენა ხან ერთს მთავარზედ ხან მეორეზედ,
თავადობა ხელში დაიპირეს ერთ მეორეს გადაპი-
დეს, აზნაურობა ერთიან აურ დაუირეს, რითაცა
გლეხობა გამოშტერდა გამოთაყვანდა, გაიყო სამ
სამეფოდ, ხუთ სამთავროდ. შინ ერთმანეთს მტრო-
ბდნენ. გარედგან ოზხუთხივე მომდგარ მტერს
ძლივ ძლიობით ებრძოდნენ მარტოდ მარტო; ერ-
თი სამთავრო შორითგან უსიერებდა სულ არ ეწო-
და. ასე ერთი სამეფო მეორეს შურით უყურებდა,
ენახო როდის დაამარცხებს მტერი, რომ იმის სამე-
ფო მე დაჰრჩესო, არ შეეძლოთ ჩვეს სასულიერო
წოდებათა სწავლელობით არც ქათაგება, არც სწავლა
არც დარიგება, სჯულ კანონს ვინღა ეძება, ცა-
რელა სახელი იყო ქრისტიანობისა დარჩენილი;
ნათლის ღებაც ბევრგან აღარ იცოდნენ კიდურ
მხარეებში. ერთს წელიწადს გურიისი ათი ათასი
ყმაწვილი მონათლეს მისსიონერ თიატენის პატრე-
ბმან. ამ ნაირად დაქვეითებულ იყო მთელი ქარ-
თველობის ქრისტიანობა კიდით კიდემდის. ეს იყო
მაზეზი რომ ორას წლამდის ტფილისში ეპისკოპო-
სები იხდნენ რომის კათოლიკებისა. მისსიონერების
მოღვაწეობით ცდილობდნენ შეერთებას ისევ კათო-
ლიკობასთან მაგრამ ვერ შეიძლეს მოქცევა ერი.
სა ისევ სასულიერო წოდების განდრეკილებათა,
არ უშეებდნენ. თვარემ მღვდლებს რომ სულით
გულით მოეწადინებინათ, ერობა უკველთვის მზა
იყო, ამიტომ რომ მრავალ სიკეთეს უშერებოდ-
ნენ არა მარტო უსასყიდლო მკურნალებით და
მოწყალების საქმებითა მტრისაგან აკლებულ აზ-

რებულთა ლეილ მშობლებზედ უკეთეს კატო-
ვრებას უწევდნენ, არამედ იგივე სწავლა დარიგ-
ითა მეფეთა და მთავართა მრავალ საქმეებში ეწე-
ოდნენ და ემსახურებოდნენ.

როგორც ვთქვით ბერძნებთან სულიერი კ-
ვირი თუმცა გასწყვიტეს კათოლიკებთან და მათი
ბრძოლის გაგონებაც აღარ უნდოდათ, მაგრამ რომის
ბრძოლი მაინც იწოდა და ებრალებოდა, მუდამ საზ-
ღვალს ღონეს ხმარობდა მათ შეერთებისას. ოსმა-
ლები რომ გაძლიერდნენ გაუჭირდა და იოანე პალეო-
ლოგ კეისარსა და მიჰმართა რომის პაპსა თავის
ძმა პატრიარხთან ერთად მათი სამღვდელოებით,
მთელი თავად აზნაურებითურთ. მიიღო IV გვგო-
ნიო პაპთან დიდის სიყვარულითა. გახსნა პაპთან
კრება, იწყეს ბჭობა ვრცლად სული წმიდის გამო-
მავლობაზედა მამისაგან და ძისაგანაც. საღბინებე-
ლზედა, ხმაოდ სეფისკვერისა და პურის ცოთან
სეფისკვერზედა და პაპის თავმჯდომარეობაზედა.
ეს მოხდა ფერარის ქალაქში, ეამის სენის გაჩენის
გამო კრება ფროლენციის ქალაქში გადაიტანეს,
მეთექვსმეტე სხდომის შემდგომ. მეჩვიდმეტე სხდო-
მისა დიდხანს ძიება გამოკვლევის მერმე, მიიღეს
ყოველივე წინადადება. მოაწერა მეფემ ხელი, პა-
ტრიარხმან, ეპისკოპოსთა და ყველა მამებმან, მხო-
ლოდ მარკოს ეპისკოპოსი განდგა და ამის მომბრე-
ნი. თურმე მიწვეულნი ქართველი სასულიერო და
საერონი არ შეუშვეს კრებაში.*) ამ კრებაში თავი
ისახელა ნიკიის მიტროპოლიტმან ბესარიონმან 1439
წ. დიდი დღე არ ჰქონდა ასეთს შეერთებას 1443
იერუსალიმის თავიანთ შედგენილ კრებაში ყოვე-
ლივე საგანი უარჰყვეს. იერუსალიმის, ანტიოქიის
და ალექსანდრიის პატრიარხთა. უკანვე მოითხოვეს
თავიანთ ხელმოწერილების პირობა, იქამდის გაცე-
ცხლდნენ რომ პალეოლოგ კეისარიც შეაჩვენეს,
1451 რომ გაუჭირდა კონსტანტინს პალეოლოგს
კეისარის ძმას და მოადგილეს მიჰმართა რომში, V
ნიკოლო პაპს სთხოვა ფლორენტის კრების ფურც-
ლის პირი. პაპმაც გარდასცა ისიდორ კარდინალს
ხელითა, რაზედაც მოაწერეს ხელი კეისარმაც და
შეძლეს წარჩინებულ პირტაცა, სწირეს იასოფის
მშვენიერებაში წირვაში პაპიც მოიხსენიეს და გრიგორ
პატრიარხიც კონსტანტინეპოლისა რომ ისე რომას
იყო. მაგრამ ვიღაც გენადიო მეუღაბნოელმან ა ლ-

ელვა აღვირ აწყვეტილი ბერძნობა და იწყეს საში-
ნელი წყველა-კრულვა პაპზედა და კათოლიკებზედ
ჩვენ იმათი შემწეობა არ გვინდა ჩვენ თვითაწ ვე-
ყოფით ამოსაელეტად ოსმალებსაო და ასე დაირ-
ღვა სრულიად საქებური შეერთება. მით 1453 წ.
აილო კონსტანდინოპოლი მურადის შვილმე მეორე
მაჰმადმან. მთელი მეომარ, ბერძნები და ცოტაც
ევროპიელი დიდკაცობა და მათთან კეისარიც ერ-
თიან ამოწყვიტეს და 60,000 მცხოვრებთაგანიც
ტყვეთ წაიყვანეს და ეკლესიებიც დაიჭირეს შეჭ-
ბილწეს ერთიან. ასე როგორც ბერძნების სამღვ-
დელოების უკულმართობამ თავიანთ საკეისროს ბო-
ლო მოუღეს და მოსპეს, ისე ჩვენის საქართველოს
დაქვევის მიზეზნი გახდნენ ჩვენი სასულიერო წო-
დების ხელში აღებითა. იმისთვის ვერაფერი ვერ
გააწყვეს ვერც VI ვახტანგ მეფემ. ვერც საბა ორ-
ბელიანმან და ვერც ანტონ კათალიკოზმან; ყო-
ველი შრომა, ცდა, ღონის ძიება უბრძოლოთ
ჩაუარათ!

ახლა ვნახოთ რა მაშინ წყალია კიდევ დარჩე-
ნილი კათოლიკე სარწმუნოებისა ჩვენს ქართველ
მართლმადიდებლებში? ა, სათითაო სამართალი.
ბ, საღბინებელი თუ განსაწმენდელი. გ, ვითირ
მდგომარეობასა შინა არიან სულნი გარდაცვალებ-
ბულთანი, ვიდრე ყოველთა აღდგომამდე? სულნი
მიცვალბულთანი ნათელსა განსვენებასა და წინა
დაწყებასა შინა საუკუნოისა ნეტარებისასა. ხოლო
სულნი ცოდვილთანი ამისა წინაღმდეგსა მდგომარ-
ეობისა შინა, მაგალითად მოკცდა ლაზარე და
მიყვანებულ იქმნა წიაღსა შინა აბრაჰამისასა. მოკ-
ვედა მდიდარიცა იგი და დაეფლა და ჯოჯოხეთსა
შინა აღახილნა თვალნი თვისნი იყო სატაჯველსა
შინა. ლუკა, ივ, 22 უკეთუ ვინმე მე მსახურებ-
დეს, მე შემომიდევინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა
მსახური ჩემი იყოს, ივ. კბ. 26 რასა ამბობთ მე-
მგმამისისათვის ამიერ ზეცას გარდაცვალებისა ქრი-
სტესთან ყოფნაზედა?.. განა უექველად ამბობ:
არ ვიცი რა ვარჩიო? და (გ. სიტყვაში) ცოდვილ-
ნი სადაცა იყვენ, შორს არიარ სასუფეველისაგან
ღირსნი გლოვისა: ხოლო მართალნი თუ აქ თუ იქ
თავიანთ მეფესთან არიან და იქ უფრო უმეტეს
უმახლობელესად, არა სიზმრებერ ხილვითა და არცა
სარწმუნოებითა, არამედ პირისპირა. ივ. ოქროპია-
რი.—ყოველნი ქალაქნი და სოფელნი პატრიუს
სცემენ ნაწილთა თქვენთა მარტვილნი და ღვაწ-
ლით შემოსვილნი! რამეთუ თქვენ სჯულიერათ
და გვირგვინი ზეცისა მოიღეთ: ამისთვის მღვდელ-

*) ჩვენ თანა არ უბრძობთ ამ აზრს თვით ქართველი
სასულიერი საერონი კრებას დაქჭრენ და ხელი მოაწერა.
(რედ.)

თა ხარო საქადული, და მეფეთა ძლევა და ეკლესიათა შეწინააღმდეგება: მე რბ გვეყვენიოთ დიდებულნი ქრისტეს მიმართ ცხოვრება სულთა ჩვენთათვის, (ლოცვანში.)

ბ. სალხინებელი: „რამეთუ განრცხის უფალი მწიკულსა ძეთა და აწულთა სიონისთასა და სისხლსა იერუსალემის განსწმედს საშვალისაგან მისისა სულითა განკითხვისათა და სულითა დაწვისათა... ესა და 4 „რისხეასა უფლისსა ვეჭვევი, რამეთუ შევეცოე მას, ვიდრემდის განამართლოს მსჯავრი ჩემი და ქმნას განკითხვა ჩემი და გამომიყვანოს მე ნათლიად; და ეიხილო მე სიპართლე მისი. მიქია ზ. 9“. იყავ ქათლ მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა აღრე. ვიდრემდე ხარ მასთანა გზასა ზედა, ნუ უკვე მოგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან მსახურსა და საპყრობილედ შექვარდე, აზინ გეტყვი შენ: ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი კოდრათი მ. ე. მნ—ვითარმედლის იჩინებს უფალი მიღებად ჩვენგან სალხინებელთა ლოცვითა და მსხვერპლთა ჯოჯოხეთს შინა პყრობალთათვის სასოებისა თანა მშვიდობისა, ლხინებისა და განთავისუფლებისა მათისათვის“. მს დღას დღეს დოგვაში ყოვლად ცხადი არის: „სალხინებელი, რომელ არს ადგილი შესაკრებელი სულთა, რომელნი წირვითა და ლოცვითა და ქველის საქმითა გამოიხსენებიან ქეშმარიტად. —ღაბ. საძიებ. 1056.

მაშასადამე როგორც ჩვენი საქართველო დაეცა სამღვდელთო უზრუნველობით და უმეცრებათა ისევ სასულიერო ღირს პირთ მზრუნებლობით და სწავლა განათლებით უნდა აღდგეს გაძლიერებული. გული არ უნდა გავიტეხოთ ურწმუნო მოწინააღმდეგეთაგან, როგორც გვისწავლის წა. პეტრე მოსკოული: იყენეს ცრუ წინასწარმეტყველიცა ერსა შორის, ვითარცა იგი თქვენ შორისაცა ყოფიდა არიან ცრუმოდღვარნი, რომელთა შემოიღონ წვა: ლება წარწყმედისა, რა განმთავისუფლებელსა მათსა უფალსა უარს ჰყოფდნენ და მოიზიდავდნენ მათისათვის ჰოლად წარწყმედას, და მრავალნი შეუდგენ მათსა მას არა წმინდებისა, რომელთაგან გზა იგი ქეშმარიტებისა მგებობდეს, და ანგაარებითა და ტყუილისა სიტყუითა თქვენ გივაჭრობდნენ რომელთა სასჯელი პირველიდგან არა დასცხრების, და ელთა სასჯელი მათსა არა ჰრულის. „კათ. ბ. წარსწავლელისა მათსა არა ჰრულის. „კათ. ბ. თათი ბ. 1. 2. 3. ეს წინასწარმეტყველობა პეტრე მოსკოულითა სკუთით აღსრულებულია ჩვენს ქართველთაზედა, რომ ბერძნებს საკაცხველად გამართლდა.

ჩღარარინ, ასე რომ ყოველ რიგად უსარგებლებიოთ ელდრე ტენიც ამოუწოვიოთ და ჯერაც არ აქვთ მიღებული წმიდად ჩვენი გამნათლებელი ნინო ქა-წული! ლათანებს კი მიღებული ჰყავთ და იხსენიებენ ქრტიწე ქალწულად და ქართველთ გამნათლებელად.

საქართველოს სამღვდელმთაბა და რუსის მფარველობა

(შემდეგი)
თ) რუსეთილამ მოვიდა პერი ევგენი. ეგზარხოსმა იონამ არხიმანდრიტად აკურთხა 11 მარტს 1823 წ. და ნათლის მკემლის უდაბნოს წინამძღვრობა მიუბოძა (на кормление); შემდეგ, 1826 წ. სემინარიის რექტორად დანიშნა.

ი) თეოფილაქტეს დროდგან გახსნილ სასულიერო სემინარიის და სასწავლებლების გამგებელნი (გორში, თელავში, ტფილისში) სოფლებიდან ჩამოყვანილი ბავშვებს სულ უბრალო დანაშაულისათვის როზგით სისხლს ადენდნენ საჯდომზედ, კენჭებზედ აჩოქებდნენ, ს ხაზავით თითის წვერებზედ ცემით ფრჩხილებს უსისხლიანებდნენ. რა თქმა უნდა, ბავშვები დაფრთხნენ და სასწავლებლის დანახვა ქირავით ეჯავრებოდათ. რუსის რექტორები და სმოტრიტლები კი ასე იმართლებდნენ თავს: „მოსწავლეები ცოტანი არიან სასწავლებლებში по необычайности и дикости нравовъ здѣшняго народа“. მერე მთავრობა ეხვეწებოდა სამღვდელთაგან: „ოღონდ გამოგზავნეთ თქვენი შვილები სასწავლებლად და ამა და ამ სა... უქარს მივსცემთო.“

ი) ეგზარხოსებმა მცტად გაამრავლეს მამებლარნი და მოღალატენი. თავის ყურმოქრილ ყმად გადაქციეს ბევრი სამღვდელთა და საერო პირი-ქართველი, ჩინ-ორდენებით აბრმავებდნენ და სეინიდისზედ ხელს იღებინებდნენ. ერთი ამისთანა პირი იყო არხიმანდრიტი ელევთერი, რომელმაც კახეთი ააკლებინა რუსის ჩინოვნიკებსა, ბევრი სამღვდელთა პირი გააგზავნინა ხელებ-გაქრული ციმბირისაკენ. აი ეს ელევთერი თეოფილაქტემ მესამე ადგილზედ წამოასკუპა კანტორაში, თუმცა შტატ-გარეშე წვერი იყო. დასავლეთ საქართველოში პირველი არხიმანდრიტი იყო გელათის წინამძღვარი ნიკოლოზი, შტატის წვერი კანტორისა 1823 წ. მაისის 26 შემდეგ. ნიკოლოზმა იწყუნა ელევთერს მესამე ადგილი რათ უქირავს და მე მეოთხეო. რა თქმა უნდა, ნიკოლოზი გამტყუნდა ელევთერი გამართლდა.

ი) ერეკლე მეფის კარზედ შწირველ-მლო-
ცველი მღვდელი იოსებ ფურცელაძე, ერეკლეს
სიკვდილის შემდეგ ბატონიშვილ იულონთან იყო,
შემდეგ ს. მერეთში. ციციშვილის დროდგან გა-
ხშირებულმა მამებლობამ საცოდავ იოსებ მღვდე-
ლსაც ვაჟკრა თვისი მწვავე მთარაბი. 1813 წ.
ივანე ერისთავმა დააბეზლა იოსებ მღვდელი გორის
ისპრავნიკთან — „ბუნტოჩიკიო“. რა თქმა უნდა,
საწყალი იოსებმა ჩაათრის ეტაპით გორში, იქილ-
გან ტფილისში, სადაც ვარლამმა გაამართლა სრუ-
ლებით.

რ) დარეჯან დედოფალს რუსეთში გაჰყვა დე-
კანოზი ალექსი ალექსიძე და იქვე მოკვდა იმე-
რეთის დედოფალმა ანანავისძისა 1814 წ. უწმი-
დეს სინოდს: დეკანოზის ალექსიძის 300 მან. პე-
ნსია იმის ქვრივს უბოძეთო ტფილისში. სინოდმა
ვარლამს მ-სწერა — „მანდ შენ აღმოუჩინე შემწეო-
ბო“. საქ. დიქსტ. 1814 წ. № 8.

ი) ს. არაგვისპირის მღვდელი გიორგი შოძ-
მაწაშვილი ძმათა მოღალატე შეიქნა, დიდო ერთ-
გულა გაუწია რუსის მთავრობას კახეთში აჯან-
ყების დროს (1812 წ.). ამიტომ მთავარ წართებე-
ლმა რტიშჩევმა მოახსენა ხელმწიფეს და დააჯილ-
დოვეს რგი გულის ოქროს ჯვრით და ათი თუმანი
ფულიც უბოძეს.

ი) 1755 წ. თეიმურაზ მეფემ ფრანგის პატ-
რებს ჩამოართვა ტფილისში მშენიერი საოების სა-
ყდარი ეზოიან-სახლებიანათ და ქვეშ-ს გმირს
მღვდელს გიორგი ლარაძეს უბოძა. აი ამ საყდარს
1804 წ. ციციშვილმა გუმბათი მოანგრია სასუ-
ლიერო მთავრობის დაუკითხავად და პურის ამბ-
რად გადააქცია, სახლებში კი მჭათავსა Военно
врачебная упрava და აფთიაქი (პოლიციის სამი-
ნისტროს უწყებისა). დოსითეოსს ფიცხელაურს
რომოსეთის კომისია ჩაჰბარდა, ობერპროკურორის
გოლიციანის პირით ხელმწიფეს სხოვა—ტფილისში
მეტოქი (ბინა) არ მაქესო და შებოძოს რამ საცხოვ-
რებელი იდგილიო. ვარლამმა მოსთხოვა სამოქა-
ლაქო მთავრობას — ხარების საყდარი დაგვი-
ცალეთ სახლებიანათ, დოსითეოს არქიერს უნ-
და მეტოქედ ჩაეზაროთო. უარი უთხრეს. ამი-
ტომ აცნობა ობერპროკურორს გოლიციანს. სი-
ნოდმა საფუძვლიანათ იცნო ვარლამის საჩივარი
და მოითხოვა ხარების საყდრის სახლებიანათ და-
ბრუნება, მაგრამ მთავარ მართებელმა რტიშჩევმა
უარი უთხრა მ აპრილს 1815 წ. № 279. მეტი
რა ილაჯი იყო, აიღეს და დარეჯან დედოფალსა-

გან აშენებული ეკლასიის კლდეზედ სასახლე
„საჩინო“ მისცეს დოსითეოსს. მოვიდა თუ არა
თეოფილაქტე 1817 წ. აგვისტოს გასულა, დოსი-
თეოსი რუსეთისკენ გაისტუმრაჲ და მონასტრის
აშენება მოინდომაჲ ჯერ ქვაშევისის საყდ რი ამო-
ილო ნიშანშეკალიან მოცწონა სამონასტრო ბინად,
მაგრამ გაღიქრა და დარეჯანის სასახლეში გა-
მართა დღევანდელი დარის მონასტერი—1820 წ.

ი) თეოფილაქტე 1817 წ. 26 ოქტომბერს
დავით გარეჯ-ს მონასტრის წინამძღვარი არხიმა-
ნდრიტი ილარიონ კანაძე გადააყენა და სემინარიის
რექტორი ვიტალი (რუსი) გაამწესა. მაგრამ ვიტა-
ლი როგორღაც სენდისიანი კაცი გამოდგა და
კანტორას მოახსენა—შე მონასტრის მოვლა არ
შემიძლიან სემინარიის რექტორებისა გამოო. ზო-
სიმე ბერს ჩააბარეთ მონასტრის ქონებაო. ამიტომ
კანტორამ გაგზავნა დავით გარეჯაში ბლაღოჩინი
გაბრიელ მესხივეგი, ანჩისხატის კანდელაკი და 26-27
ოქტომბერს ჩაჰბარდა ზოსიმეს შემდეგი ქონება:

1) 15 სტიხარი, 3 ვანგილა, 15 ოლარი, 11
სარტყელი, 16 წყვილი საბუხრე, 8 ენქერი, 21
ფილონი.

2) მღვდელმთავრისა: 1 სტიხარი იქ ანე რუს-
თელისკენ წავიდა სტიხარი ევლოვისული; 1 ოლარი,
2 წყე. საბუხრე, 5 ბისჯონი ვერცხლის ღირებით და
მარგალიტის ჯვრებით ნაკერი, 2 ენქერი, 1 ომფორი
ვერცხლის ღირებით, 1 საარხიმანდრატო ჯვარი ძე-
ქვეჭი. 1 მიტრა მარგალიტით შემკული ევლო-
ლისული, 1 მიტრა მარგალიტით ნაკერი, 1 კვერ-
თხი ეკალ-მუხისა, ვერცხლის თვილი და ბურთებიო;
1 წყვილი ჯვარ სასანათლბა, 1 მღვჯარი, 4 ოლი-
კი, 4 სახარება ვერცხლით მოქცდილი, ერთა ოქ-
როში დაფერილი ვერცხლის მანაქრანაი ჯვარი,
მეორე ჯვარი ოქროში დაფერილი ვერცხლისა თვა-
ლმარგალიტით მოქცდილი, 1 სხვა ჯვარი ვერცხ-
ლისა.

3) 9 ბარძიმი ვერცხლის, 9 ფეშხუმი, 9 ვარს-
კელავი, 9 კოვზი—ვერცხლისა; 10 წყვილი და-
ფარნა.

4) 1 ვერცხლის შანდალი, 1 ვერცხლის პურ-
ხეთის საკურთხებელი, 17 ვერცხლის თასი, 5 ვერ-
ცხლის კანდელი (ერეკლე მეფის შეწირული 1781
წ.), 4 ვერცხლის საცეცხური, 8 ძვირფასი ოქრო-
ვერცხლის ნაწილებიანი ხატი და სხ. დღეს ამ ქო-
ნებიდან სრულებით აღარაფერია მონასტრში. აი
ასე შეინახეს ეგზარხოსებმა და რუსსა სეკულარებმა
ჩვენი მონასტრები.

რ/ქვე აქვითი ვე? ქვე ვთხროს დოს. სწორი შექმნილება 8 სექტემბერი 18026: 4. ნეკრიათ...


იზ) აზნაურმა იაკობ არწრუნმა ტორგით იყიდა კანტორინაგან 1821 წ. სიონის სამხრეთით მდებარე ძველი ქარვასლა და ხელ-ახლა ააშენა. არწრუნმა მოახსენა კანტორას 9 იანვარს 1824 წ. — „ 25 ათასი მანეთი მასესხეთ და გირაოთ ქარვასლა მიიღეთ. ქარვასლა დამიჯდა 80 ათასი მანეთით. კანტორამ უარი უთხრა. საქმე კანტ. № 1062, 1824 წ.

იწ) 1821 წ. რექტორმა ათანასიო ჩაბარა რექტორს ირინეის შიომღვიმის, ქვათახეის და დარჩის მონასტრები. ამან კიდევ ჩაბარა არხიმანდრიტს ევგენის 23 დეკემბერს 1824 წ. ამ დროს სივებით ანუსხულ ქონებას აკლდა შემდეგი:

1 ვერცხლის ბარძიმი; 1 ვერცხლის კოვზი; 24 ხატი; დაბადება; 3 დაფარნა; 2 წიგნი ანდრია სალოსისა; ტილოს ოდიკი; საბუხრები (ოქრომკედლით ნაკერები, რა თქმა უნდა); 3 სხვა ხატი, ოქრომკედიან სპარსული ფარჩის ფილონზედ აკლდა 122 შუათანა მარგალიტი; ოქრომკედლით და მარგალიტით ნაკერს ენქერზედ მაკხოვრის გვირგვინში 15 მსხვილი მარგალიტი. ამ დანაკლისი ნივთების სიას ხელს აწერენ ირინეოსი, ევგენი 1824 წ. შემდეგ 1833 წ. ან-

ტონი და სერგი. იმავე დროს გამოცვლილი იყო ვერცხლის ვარსკვლავი (ქვათხეისა) ვარშაის ვერცხლისა აღმოჩნდა, ოქრომკედიანი ცის ფერი ფილონის მაგიერ უბრალო იის ფერი უბრალო ფილონი იყო. იხ. საქ. დარჩის მონასტრისა.

იო) თეოფილაქტეს გაიძვირაობამ ერთიანად არივა საქართველოს სიეკლესიო მამულ-დედულის საქმე. რაკი საეკლესიო მამულები თეოფილაქტემ თავის ერთგულ კაცებს ჩააბარა, ყველა საეკლესიო შემოსავალი ხელთ ივლო და თავის ნებაზედ ხმარობდა. სამღვდელთა თვად აზნაურნი და გლეხნი, ყველა გაბრაზდა და გაჯავრებულებმა ბევრმა წაატანა ხელი საეკლესიო მამულებს და დიიჩემა— ჩვენი უფრო უპრიანიოა. თვად-აზნაურთა დიდსა-გვარეულებს ბევრსა ჰქონდა საკუთარი კარის და სასაფლაო საყდრები, რომელთაც ძველთგანვე მრავალი სახნავ-სათესი ვენახები, წისქვილები და მთაბარი ჰქონდათ შეწირული საყდრებისა და სამღვდელთა შესანახად. თეოფილაქტემ ამ მამულებსაც წაატანა ხელი. ამიტომ ტფილისის გუბერნიის თვადაზნაურთა წინამძღოლმა, გენერალ მაიორმა თე კონსტანტინე ბაგრატიონმა-მუხრანსკომ მიართვა საჩივარი უმთავრესი შტაბის უფროსს იმპერატო-



წერაკითხვის გამავრცელებლის მუზეუმის ზალა. საქართველოს სიმეფლქნი


რათან მოსახსენებლად: ა)... ჩემის თანამდებობის შოვალეობისამებრ ვთხოვ რა თანახმად 18 იანვრის და 12 სექტემბრისა 1801 წ. უსილესის მანიფესტისა ხელახლად დამტკიცებასა საქართველოს თავდაზნაურობის საკუთრების უფლებისას, ისრეთის საქმეების განხილვის აღკრალეთ, რომელნიც ისევ შეფუების გამგეობას დროს ეკუთვნაან, —რათა ყველა იმ მანიფესტთა გამოცხადების შემდეგ თაქ თავის საკუთრებაზედ შეუბებულად დარჩესო. სხვათა შორის, მეორე მუხლით, შუამდგომლობდა (მუხრან-ბატონი), რათა თანახმად იმავე მანიფესტებისა ძველებურათ შერჩომოდათ პატრონობა და მზრუნველობა მებატონეთ საყდრებისა იმ ქართველ თავდაზნაურებს, რომელთაც ანუ თვით, ან მათს მამა პაპათ შეუწირავთ ერთდროულათ, ანუ წლიური განსაზღვრით თავისი შემოსავლის რამე წილი, და თავდაპირველ წესისამებრ დაუბრუნდეთ ესრეთნი პირობითნი შესაწირაენი ისევ იმ მებატონეთს სამკვიდრო განკარგულებაში, უმთავრეს საქართველოს სასულიერო მთავრობის უწყებასა ქვეშე, რათა აღშენებულნი და საკმარისად უზრუნველყოფილნი მებატონეთა საყდრები არა დაშთებოდნენ, როგორც რაოდენნიმე დღემდე, უკლებურესა უპატრონობასა შინა... ამანდ იმპერატორმა დააწერა: „Согласенъ, но желаю весьма, чтобы дѣло сіе было кончено сколько можно скорѣе“. ამისთვის სინოღმა მოსწერა ეგზარხოსს იონას უქაზით 29 ნოემბერს

1826 წ. № 10419 და მოსთხოვა ცნობები —სად რამდენია ამისთანა საყდარო, და ან რა ქონება აქვსთო, თავად აზნაურნი როგორ ექცევიან ამ ქონებასო. ეგზარხმა კანტორას გადასცა აღსრულებითათვის. კანტორამ ურპორტა სინოდს 17 თებერვალს 1827 წ. — „უკან დასაბრუნებელი აღარა არის რაო, თათონ თავად აზნაურობას უწირავთო; რაც სადაც არის, იმას განოსაერთო გაარჩევინ და ეგელებს თავისი შეეკუთვნებო“. საქ. კანტორისა 1827 წ. № 1589 აი ასე აუქცია გზა ეგზარხმა იონამ მუხრან ბატონის სავარტლიანს საჩივარსა და თავისი გაიტანა, თეოფილაქტეს ანდერძი წმინდათ შეასრულა. მაგ. ოდესმე გაბრწყინებული და მდიდარი საგვარეულო სასაფლაო ტაძარნი —ამილახვრებისა (სამთავესში), მუხრანბატონებისა (წილკანში და მცხეთაში), ორბელიან-ბარათიანთი (ფიტარეთში), ანდრონიკანთი (ვეჯინში), ჯორჯაძიანთი (გურჯაანში), ვრისთვიანთი (იკორთაში) და სხ. დიდი ყმა-მამულის პატრონები იყვნენ, არავის დახმარებას და შემწეობას არ საკირობდნენ. თეოფილაქტემ დაბლუჯა ანტორგით დაყადა, ან ხაზინა დააპატრონა ამისთანა ტაძრების ყმასა და მამულსა და ცის ანაბარა გაუშვა, დღეს ეს ტაძარნი ინგრევიან და შემბრალებელნი აღარაეინ არის, თავად აზნაურობის მამა პაპათ თვითონ დაიკლეს ყმა და მამული და შესწირეს თავის საგვარეულო ტაძრებსა. დღეს თავდაზნაურობას თვით ვასკირებია საქმე და ეგზარხები ასე ეტუბნებიან, როცა საქმე მაგ ტაძრების განახლებაზედ მიდგება: „Вы хотите молиться на счетъ казны“.

(გასაგრძობია)



წერაკითხვის გამაგრებელის მუზეუმის ზალა. საქართველოს სიძველენი



წერაკიოხვის გამავრცელებლის მუზეუმის ზალა.
საქართველოს სისეფელენი

რედაქციამ 3 დ. მულაშოვი იგივე პაწაძე.

სტაბა - გუტემბერგისა ბ. ს. ესაძე. სსსრ-ის ქუჩა-